საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 2 ოქტომბერი, 2014 წელი.

№201 (7582)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ირაკლი ღარიბაშვილი:

2

ჩვენ მართლაც ურთულესი მემკვიდრეობა გვერგო – ჩვენ გავიარეთ ორი უმნიშვნელოვანესი წელი თავისი სირთულეებით, თავისი გამოწვევებით და ჩვენ დაგვჭირდა სახელისუფლებო კორუფციის, დაუსჯელობის და მხოლოდ ერთეულების საკეთილდღეოდ მომუშავე ეკონომიკის მოჯადოებული წრის გარღვევა, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით.

ბერ გიორგის სამთავროს მონასტრის ეზოში დაკრძალავენ

საქართველოს საპატრიარქო კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ძმის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. 30 სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უფროსი ძმა, ბერი გიორგი (ვიქტორ შიოლაშვილი) გარდაიცვალა.

ბერი გიორგი 1929 წლის 11 დეკემბერს ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში დაიბადა. იგი გიორგი შიოლაშვილისა და ნატალია კობაიძის მრავალშვილიან ოჯახში მეექვსე შვილი იყო.

ვიქტორ შიოლაშვილი 1970 წლიდან კათოლიკოს-პატრიარქთან მსახურებდა. ჰყავდა მეუღლე – მარიამ ჩოჩოშვილი. ყავს ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და რვა შვილთაშვილი. ცხოვრობდა ქალაქ მცხეთაში. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი ვიქტორ შიოლაშვილი 2013 წლის 4 სექტემბერს ბერად აღიკვეცა. მას სახელად გიორგი ეწოდა და მცხეთის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში განამწესეს.

ბერ გიორგის 2 ოქტომბერს სამთავროს მონასტრის ეზოში დაკრძალავენ.

ისტორიის ხიბლიხვანჯარა...

5 6 7

ამბავი მძევალი პატარა იმერელი ბიჭისა, რომელიც ჩვენი დროის ფრიად გამორჩეულ დიდ რუს პოეტს გაუწინაპრდა...

გიორგი მარგველაშვილი:

8

საქართველომ თავისი ევროპული არჩევნისთვის საფასური 2008 წელს გადაიხადა

უკრაინის მოვლენების ახლებური შეფასება

„ყველაფერი ყოფილ იუგოსლავიაში დაიწყო...“

„შხამიანი „სიტკბო“ - ევროპასთან ასოციაცია“

„რატომ არ მოისურვა ყირიმის და დონბასის მოსახლეობამ უკრაინის შემადგენლობაში ცხოვრება“

„დასავლური „დემოკრატიის“ უნივერსალური იარაღი: ცილისწამება და ტყუილი“

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ირაკლი ღარიბაშვილი:

ჩვენ მართლაც ურთულესი მემკვიდრეობა გვერგო

შეიძლება, გარდამავალ ეტაპზე ყველაფერი იდეალურად არ ხდება, მაგრამ ჩვენი განვითარების გზას ვერაფერი შეაჩერებს.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის კანცელარიაში განაცხადა, საიდანაც მან მოსახლეობას „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის ორი წლისთავთან დაკავშირებით მიმართა.

„ჩვენ მართლაც ურთულესი მემკვიდრეობა გვერგო — ჩვენ გავიარეთ ორი უმნიშვნელოვანესი წელი თავისი სირთულეებით, თავისი გამოწვევებით და ჩვენ დაგვჭირდა სახელისუფლებო კორუფციის, დაუსჯელობის და მხოლოდ ერთეულების საკეთილდღეოდ მომუშავე ეკონომიკის მოჯადოებული წრის გარღვევა, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით. ჩვენ განვითარების სწორ გზაზე დავაყენეთ ჩვენი ქვეყანა. ყველა სფეროში მივაღწიეთ მნიშვნელოვან წინსვლას — დაწყებული ჯანდაცვით და განათლებით, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობით და დამთავრებული კანონის უზენაესობის დამკვიდრებით და სამართლიანობის დამკვიდრებით ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენ ვახორციელებთ ძალიან მნიშვნელოვან რეფორმებს“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ორმა წელმა ძალიან ინტენსიურ სამუშაო რეჟიმში განვლო.

„ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში კოალიციაში იყო კამათი, მსჯელობა, ძიება, 24-საათიანი ჩართულობა და ეს წმინდა დემოკრატიული პროცესია. ჩვენ — ხელისუფლებაც და ხალხიც, ახლა გავდივართ სწორედ ძალიან რთულ და საპასუხისმგებლო პერიოდს და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ღირსეულად გავივლით ამ ეტაპს. შეიძლება, მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ გარდამავალ ეტაპზე ყველაფერი ისე იდეალურად არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა და ეს ბუნებრივია, მაგრამ მინდა, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი ხელისუფლება ნამდვილად ერთგულად ემსახურება ჩვენს ხალხს. განვითარების გზას ვერავითარი ძალა, ვერავითარი ბარიერი ვერ შეაჩერებს ჩვენს ქვეყანაში“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ხალხმა აირჩია პერსპექტივა თითოეული ადამიანისთვის, წინსვლა და განვითარება. 1 ოქტომბრის გამარჯვება ჩვენმა ხალხმა ძალიან დიდი ბრძოლის შედეგად მოიპოვა და დამერწმუნეთ, რომ ეს ბრძოლის გზა არ იყო იოლი“, — განაცხადა ღარიბაშვილმა და ქართველ ხალხს იმ ნდობისა და მხარდაჭერისთვის, რომელიც 2012 წელს კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი — ქართულ ოცნებას“ გამოუცხადა, მადლობა გადაუხადა.

„მე მინდა, გულწრფელად გამოვხატო აღფრთოვანება ჩვენი ხალხის შემართების, მათი თავგანწირვის და გმირობის მიმართ. ეს გამარჯვება არ იქნებოდა, მეგობრებო, რომ არა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა და, რა თქმა უნდა, ეს გამარჯვება არ იქნებოდა, რომ არა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ადამიანი, რომელმაც შეძლო მაშინდელი ოპოზიციური ძალების კონსოლიდაცია, პროცესების არჩევნებამდე მშვიდობიანი მიყვანა და რეჟიმის დამარცხება ღირსეულად — ისე, როგორც ჩვენს ხალხს და ჩვენს ერს ეკადრება“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ყველას მიულოცა პირველი ოქტომბერი და აღნიშნა, რომ ეს არის ქვეყნის და ხალხის დიდი გამარჯვება, მათ შორის მათიც, ვინც „ქართულ ოცნებას“ ხმა არ მისცა.

მედიის დამოუკიდებლობით და სიძლიერით იზომება, რამდენად ძლიერია ქვეყანაში დემოკრატია

„ჩვენი ხელისუფლება ყველა პირობას ქმნის, რომ გაძლიერდეს სამოქალაქო საზოგადოება და თავისუფალი მედია. მედიის დამოუკიდებლობით და სიძლიერით იზომება, რამდენად ძლიერია ქვეყანაში დემოკრატია და ჩემთვის და ჩვენი ხელისუფლებისთვის საამაყოა, რომ სულ ახლახანს გამოქვეყნებული კვლევების შედეგებით, მედიის თავისუფლების ინდექსში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო არის პირველ ადგილზე“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

დავით გარეჯში უდაბნოს ქედის მონახულება დროებით შეზღუდულია

როგორც **დავით გარეჯის ლავრის მღვდელმონაზონმა კირიონმა განაცხადა ექვსი დღეა აზერბაიჯანელი სამხედროების წვრთნები მიმდინარეობს, რომელიც უდაბნოს ქედის დაბლა, აზერბაიჯანის მხარესაა.**

მამა კირიონის თქმით, აზერბაიჯანის მხარეს პოლიგონია მოწყობილი და მათი საჯარისო ნაწილები დგას.



„როდესაც წვრთნებს იწყებენ, დღის განმავლობაში მხოლოდ საათნახევარი-ორ საათით ითხოვენ ადგილის დაკეტვას, რომ შემთხვევით ტურისტი არ დაშავდეს. შემდეგ ჩვეულებრივ იხსნება და ტურისტებს უდაბნოს ქედზე ასვლა და წმინდა ილიას ნიშთან მისვლა შეუძლიათ“, — აღნიშნა მღვდელმონაზონმა.

მისივე თქმით, თეორიულად არ არსებობს შანსი, რომ იქ წვრთნებისგან ტურისტი დაშავდეს, მაგრამ უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასულიერო პირებიც თანახმა არიან ტურისტების გადაადგილებაზე დროებით შეზღუდვა არსებობდეს.

„რაიმე რომ არ მოხდეს, ჩვენც თანახმა ვართ. აზერბაიჯანულ მხარეს ეს შეთანხმებული აქვს საქართველოს ხელისუფლებასთან. სამხედრო წვრთნები 10-დღიანია და უკვე მეექვსე დღეა, რაც მიმდინარეობს. სამხედრო წვრთნებს თავის არეალი აქვს. როდესაც ქართული მხარე ატარებს წვრთნებს, რუსთავის მხარე საერთოდ იკეტება. უსაფრთხოების ზომების დაცვა აუცილებელია“, — დასძინა მღვდელმონაზონმა კირიონმა.

მისივე თქმით, აზერბაიჯანელი სამხედროები მუდმივად წმინდა ილიას ნიშთან აღარ დგანან. ისინი პერიოდულად ადიან იქ, გაივლიან საზღვრის მონაკვეთს და ისევ უკან, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩადიან. ამჟამად ამ ტერიტორიაზე მუდმივად საქართველოს მესაზღვრეები დგანან.

◎ დედაქალაქი

დიდი სატრანსპორტო რეორგანიზაციის ჩანაფიქრი

დედაქალაქის ახალ ხელმძღვანელობას თუ ვერწმუნებით, თბილისში დიდი სატრანსპორტო რეორგანიზაცია იწყება. მეტროსადგურები უნდა გარემონტდეს, ახალი ავტობუსები უნდა შემოვიდეს და ბოლო გაჩერებები მოწესრიგდეს. ეს საკმაოდ დიდბიუჯეტიანი პროექტებია.

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ თბილისის სატრანსპორტო კომპანიების საქმიანობის ანგარიში მოისმინა, უკმაყოფილება ვერ დამალა და შესაბამისი დავალებებიც გასცა.

„თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, რადგან ძალიან ბევრი პრობლემაა დაგროვილი. თბილისის მეტროპოლიტენში მოძველებული სისტემაა, რომელსაც აუცილებელად სჭირდება მოდერნიზაცია, მათ შორის, საჭიროა რამდენიმე სადგურში ესკალატორების გამოცვლა. მოძველებულია ავტობუსების პარკიც, რომელიც შესაკეთებელია“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

ის მეტროსადგურები, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში არ შეკეთებულა, განახლდება, ამისთვის კი მნიშვნელოვანი ინვესტიციის მოზიდვა იქნება საჭირო. რამდენად მოხერხდება ეს მოკლე ვადაში, უცნობია, თუმცა ქალაქის ახალი მერი იმედიანადაა.

„ბევრი სადგურის მართვის სისტემები ძველია, ესკალატორები და ა.შ. შესაკეთებელია რამდენიმე სადგურიც, ამიტომ საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიცია დაგვჭირდება“, — განაცხადა ნარმანიამ თბილისის მთავრობის სხდომაზე.

მისი თქმით, 2015 წლისთვის არის ვალდებულება, რომ ახალგაზრდული ოლიმპიადის სტუმრებს ახალი ავტობუსებით მოვემსახუროთ. **„ვაპირებთ, შევისყიდოთ ავტობუსები. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან დავიწყეთ აქტიური თანამშრომლობა იმისთვის, რომ მათი გრანტებით მოხდეს სატრანსპორტო სისტემაში არსებული მდგომარეობის დეტალური კვლევა-ანალიზი და ამის საფუძველზე დავგეგმოთ ის, თუ როგორი ფორმით წავალთ ჩვენ მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით“,** — განაცხადა თბილისის მერმა.

მერის ინფორმაციით, წინა ხელისუფლების დროს ძირითადად მეორადი ავტობუსები შეისყიდეს და სწორედ ამ ავტობუსებს სჭირდება განახლება.

რაც შეეხება მუნიციპალური ტრანსპორტის ტარიფებს, ირკვევა, რომ ტარიფების გადახედვა არ იგეგმება. ესე იგი მგზავრობის საფასური არ გაიზრდება და მით უმეტეს, არ შემცირდება. შეღავათები კი სამომავლოდაც ძალაში დარჩება.

„ხაზგასასმელია ის, რომ მუნიციპალიტეტი აფინანსებს სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ პირებს, მათ შორის, ომის ვეტერანებს და ა. შ. ასეთი ფორმით სუბსიდირება გაგრძელდება. ინერგება თანამედროვე სისტემები, რომლის მიხედვითაც ჩვენ გადახდასთან დაკავშირებით ადმინისტრირება უნდა გავაუმჯობესოთ, განსაკუთრებით ეს ეხება ავტობუსებს, სადაც დღემდე არსებობს დანაკარგი გადახდასთან დაკავშირებით“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

გარდა ამისა, ავტობუსების ბოლო გაჩერებები მოწესრიგდება და იქ სველი წერტილები გაკეთდება იმისათვის, რომ მძღოლებს შეეძლოთ შესვენების პერიოდში სადილობა. **„აქტიურად ვმუშაობთ საგზაო ინფასტრუქტურის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რათა ნაკლები პრობლემა შეექმნას ავტობუსებს გადაადგილების დროს და არის სხვა საკითხები, რომლებზეც გავაგრძელებთ მუშაობას. ძალიან ბევრი დავალებები მიიღო თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ და 10 დღის განმავლობაში მათ უნდა წარმოადგინონ ხედვები შემდგომ განვითარებაზე“,** — აღნიშნა ნარმანიამ.

ბექა დანელია

◎ საყოველთაო აღწერა

ახალგაზრდების დახმარებით

საერთაშორისო **გამოცდილება მოწმობს, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რაც მთავრობებს, უწინარესად, სახელმწიფო მართვის პროცესში უამრავი საკითხის სწორად დაგეგმარებაში ეხმარება, ყოველ ათ წელიწადში ერთხელ უნდა ტარდებოდეს. ამის რეკომენდაციას გაეროს სპეციალისტებიც იძლევიან, თუმცა კი საქართველოში მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერა 2002 წელს ჩატარდა. ეს კი იმას მოწმობს, რომ არც საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებაზე, არც რაიმე რეკომენდაციის შესრულებაზე წინა ხელისუფლებას საერთოდ არ უფიქრია.**

საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარება 2014 წლის ნოემბერშია დაგეგმილი, რისთვისაც შარშან შესაბამისი სამთავრობო კომისიის შემადგენლობა გადახალისდა და მას ამჟამად რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი ხელმძღვანელობს. მოსახლეობის საყოველთაო აღწერისთვის მოსამზადებელი პროგრამა 2013-14 წლებისთვის და 2015 წელს მიღებული შედეგების გამოქვეყნების გეგმები, აგრეთვე საორიენტაციო, დაახლოებით 13,5 მილიონი ლარის ბიუჯეტი, ჯერ კიდევ შარშან დამტკიცდა.

რამდენიმე დღის წინათ საყოველთაო აღწერის ჩატარებაზე პასუხისმგებელი სამთავრობო კომისიის სხდომა ჩატარდა, რომელზეც წინა მოსამზადებელი ეტაპის მთელი რიგი მიმდინარე საკითხი განიხილეს. საქართველოს მოსახლეობის წლევანდელი საყოველთაო აღწერის სამუშაოები 5-19 ნოემბერს ქვეყნის უკლებლივ ყველა მხარის ყველა დასახლებულ პუნქტში ჩატარდება. საქმიანობის წარმართვაში კი გარკვეული სიახლე ის იქნება, რომ უშუალოდ აღწერის პროცესში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მასში ქვეყნის ყველა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტიდან 30-დან 60-მდე შერჩეული სტუდენტი დასაქმდება. მანამდე, კი, ოქტომბრის მიწურულიდან, ეს ერთჯერადი დასაქმებული ყმაწვილები და ქალიშვილები საქსტატის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს გაივლიან. აღსანიშნავია, რომ თავიანთ შრომაში სტუდენტები გასამრჯელოს მიიღებენ, თუმცა კი ეს გარემოება ისევ მათ კეთილსინდისიერ მუშაობაზე იქნება დამოკიდებული: საქმის არადამაკმაყოფილებლად შესრულების შემთხვევაში ისინი ანაზღაურების გარეშე დარჩებინ. არადა, სავარაუდოდ მისაღები თანხა, მით უმეტეს სტუდენტისთვის, — 400-500 ლარი — მცირე ნამდვილად არ არის, ამიტომ, როგორც ჩანს, მათი მხრიდან მოწადინებაც დიდი უნდა იყოს, რითაც გამოცდილ სპეციალისტებს საკმაოდ მძიმე და შრომატევად სამუშაოს გვარიანად შეუმსუბუქებენ. ამას მით უმეტეს დიდი მნიშვნელობა იმიტომაც აქვს, რომ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მომუშავე დარგის სპეციალისტების მთლიანი რიცხოვნობა, რომელიც რამდენიმე ასეულ კაცს შეადგენს, ქვეყნის მთელი მოსახლეობის ორკვირიან ვადაში მოსაცავად ნამდვილად არასაკმარისია. ამდენად ამ დროს ყოველ წყვილ მუშახელს, რომ იტყვიან, „ოქროს ფასი“ ექნება. თანაც, მსოფლიო პრაქტიკას თუ გადავავლებთ თვალს, ასეთ სახელმწიფოებრივი მასშტაბის ღონისძიებებში ვოლონტიორთა მონაწილეობას ყველგან კარგი შედეგი მოაქვს.

ოთარ ტურაგელიძე

რა მოგვიტანა განვლილმა ორმა წელიწადმა?

ახალი ხელისუფლების მარცხი და გამარჯვებები

უკვე ორი წელია, საქართველოს ახალი ხელისუფლება ჰყავს. ის მოვიდა ბევრი მომხიბვლელი დაპირებით, მაგრამ საკმაოდ რთულ გარემოში მოუხდა მოღვაწეობის დაწყება როგორც საგარეო, ასევე საშინაო ფრონტზე. ახალი ხელისუფლების მიღწევებსა და შეცდომებზე ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე გვესაუბრება.

– ხელისუფლების მოღვაწეობის შესაფასებლად კიდევ ორი წელია დარჩენილი და საბოლოო შეფასებას 2016 წლის არჩევნებზე მიიღებს. მისი ორწლიანი ისტორია რომ შევაფასოთ, რა არის ის დადებითი მომენტები, რაც მას წინამორბედებისგან განასხვავებს?

– საგარეო პოლიტიკაში გამოვყოფდი სამ მნიშვნელოვან მომენტს, ეს არის ასოცირების ხელშეკრულება, რუსეთთან კონფრონტაციული რიტორიკის და ურთიერთობების შეცვლა და „შაჰ-დენიზი 2“-ის პროექტში საქართველოს მონაწილეობა.

რაც შეეხება ეკონომიკურ და სოციალურ კუთხეს, ერთმნიშვნელოვნად დადებითი შეფასება შეიძლება მიეცეს ჯანდაცვის რეფორმას. ის, რაც ამ ხელისუფლების ხელწერად რჩება და იმედია, ძალიან არ მოინდომებს, რომ ეს მისი მთავარი მონაპოვარი წაშალოს, ეს არის სიტყვის, ბიზნესის თავისუფლება, პოლიტიკური აზრის გამოხატვის, სასამართლოს თავისუფლება, რაც მართლაც უმნიშვნელოვანესია. მან ჩაატარა სამართლიანი და ობიექტური არჩევნები, ისეთი, როგორიც საქართველოს ისტორიას ძნელად ახსოვს. ერთი ხელისუფლების პირობებში ის, რაც ჩამოვთვალე ძალიან ბევრი თუ არა, ცოტა ნამდვილად არ არის და ამ მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას ბევრი აქვს მართლაც საამაყო.

– ყველა ხელისუფლება თავისი მმართველობის პერიოდში, როგორც წესი, საკმაოდ ბევრ შეცდომას უშვებს-ხოლმე, ახლმა ხელისუფლებამ რამდენად სერიოზული შეცდომების დაშვება მოასწრო?

– შეცდომებს რაც შეეხება, სოციალური და ეკონომიკური კუთხით შემფასებლად ვერ გამოვდგები. რაც შეეხება საგარეო მიმართულებას, აქ მთავარია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კარი გაუღო რუსეთის საინფორმაციო პროპაგანდას. ვერ ვიტყვი, რომ ხელს უწყობს, მაგრამ სრულიად ღიაა სივრცე, როგორც რუსული პროპაგანდის, ასევე მეხუთე კოლონის მოღვაწეობისთვის, რომლის მიზანია რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების ხიბლი დაანახვოს საქართველოს საზოგადოებას. ეს რუსეთის მხრიდან რბილი ძალის პოლიტიკის გამოყენების კლასიკური მაგალითია საქართველოს მისამართით.

– ამიტომ გაჩნდა საქართველოს საზოგადოების ერთ ნაწილში განწყობა, რომ საბოლოოდ მაინც რუსეთისკენ მივდივართ?

– ვერ ვიტყოდი, რომ ეს განწყობა გარანტირებულად საფუძვლიანია. თუმცა, საზოგადოების ნაწილს ეს განწყობა აქვს, რადგან ორ პოლიტიკას შორის სერიოზული კონტრასტია – წინა ხელისუფლების დროს განსხვავებული აზრის მატარებელი რუსეთის აგენტად და საქართველოს მტრად სახელდებოდა, დღეს ასეთი ხელაღებული პროპაგანდა რუსეთისა საქართველოში, ბუნებრივია, კითხვებს ბადებს. თუ მკითხავთ, არც ის იყო გამართლებული, როდესაც რუსეთის აგენტობის ბრალდებით ლამის საქართველოს მთელ მოსახლეობას პირში ბურთს ჩრიდნენ და არც ეს არის გამართლებული, როდესაც ხელისუფლებამ სრულიად დაუცველი დატოვა თავისი საინფორმაციო სივრცე, მთავარი მტრის საინფორმაციო ომის პირობებში.

არის კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: რამდენიმე დღის წინათ კარასინმა გააკეთა განცხადება, რომ რუსეთი აპირებს ერთგვარი გადატვირთვის პოლიტიკის დაწყებას საქართველოსთან მიმართებაში და ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას. ჩემთვის კარასინის ეს განწყობა ბევრ კითხვას ბადებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სწორედ ის რუსეთია, რომელმაც 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების სოლიდური ნაწილი წაგლიჯა და რომელიც დღესაც, ევროპის შუაგულში აქუცმაცებს და იპყრობს სახელმწიფოს – უკრაინას.

ვფიქრობ, სრულიად ლოგიკურია კითხვა, რატომ გაუჩნდა რუსეთს სურვილი, ჰქონდეს სრულიად განსხვავებულ სახე საქართველოსთან მიმართებაში სწორედ ახლა? რატომ ცდილობს რუსეთი, წარმოსდგეს ორსახოვანი იანუსის სახით მსოფლიოს წინაშე? – ამ კითხვების გაგრძელებაა – ხომ არ არის ეს რუსეთის მხრიდან საქართველოს ეკონომიკური ექსპანსიის მცდელობა, უფრო ზუსტად კი, საქართველოს რუსულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების კი არა, შეთრევის და საერთო ეკონომიკურ, შემდეგ კი უკვე პოლიტიკურ სივრცეში ჩაბმის მცდელობა?

მართალია გაკვრით, მაგრამ საუბარი იყო ახალი საგზაო მაგისტრალების მშენებლობაზე რუსეთსა და საქართველოს შორის და ისიც კი ითქვა, რომ ეს საბჭოთა კავშირის დროს არსებული პროექტებია. სხვათა შორის, ამ ახალი გზების გაყვანის მეშვეობით სომხეთთან პირდაპირი დაკავშირების გეგმა თითქოს, ერთი შეხედვით, აბსურდულია, მაგრამ რამდენიმე თვის წინათ გავრცელდა, თუ არ ვცდები, ერევანში გამართული კონფერენციის მასალები, სადაც კრემლთან ახლოს მყოფი ერთ-ერთი პოლიტოლოგი საბჭოთა კავშირის დროინდელი გეგმების განხორციელებას წინასწარმეტყველებდა. საუბარი იყო საქართველოზე რუსეთთან დამაკავშირებელი რამდენიმე გზის გაყვანაზე, რომლის მეშვეობითაც რუსეთი შეძლებდა მთლიანად საქართველოს შესრუტვას და, მეორე მხრივ, სომხეთზე პირდაპირი გასასვლელის მოპოვებას.

მაშინ საკმაოდ აგდებული განწყობით შეხვდა საქართველოს პოლიტიკური ელიტა ამ პოლიტოლოგის მოსაზრებებს. ახლაც მთლად რეალისტური არ ჩანს, მაგრამ ფაქტია და ამას თვალი არ უნდა ავარიდოთ, რომ კარასინის ამ ძალზე ზოგად განცხადებაში გარკვეულწილად იკითხება პარალელები თუ გადაძახილები, იმ ერთი შეხედვით, ძალზე არარეალისტურ გეგმასთან. სულ რომ არ გვახსოვდეს იმ რუსი პოლიტოლოგის ინტერვიუ, ფაქტია, რუსეთი ამას შემთხვევით არ აკეთებს.

– ანუ უსაფრთხოების კუთხით ხელისუფლება მოიკოჭლებს?

– ეს სერიოზული პრობლემაა და არ ვიცი, აქვს თუ არა საქართველოს ხელისუფლებას პასუხი კითხვაზე – აპირებს თუ არა რუსეთი ეკონომიკური ექსპანსიის განხორციელებას და რამდენად მზად არის საქართველოს ხელისუფლება ამისთვის?

გარდა იმისა, რომ რუსული ბაზარი საქართველოს ზოგიერთი რეგიონისთვის (ჯერჯერობით და შემდეგ, შესაძლოა, სხვა რეგიონებიც მოიცვას), მაშველი რგოლი აღმოჩნდა (იგივე კახეთის აღორძინებასა და შემოსავლებში ძალიან დიდი როლი შეასრულა), სწორედ ამ ეკონომიკური ბუმიდან გამომდინარე, ეს დიდ რისკებსაც შეიცავს, რადგან რუსეთის ხელში ეს არის ძალიან მძლავრი ბერკეტი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ - ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, რუსეთმა ამა თუ იმ მიზეზით ამ ბაზრის ჩაკეტვა რომ მოინდომოს?!

თუმცა, იგივე რუსეთთან ურთიერთობის კონტექსტში ხელისუფლების პლუსებში შეიძლება ჩაითვალოს ის დაბალანსებული პოლიტიკა, რამაც განაპირობა, რომ რუსეთის მორიგი აგრესიის მსხვერპლი არ გავხდით ამ ეტაპზე. თუმცა იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ უკრაინის ფონზე, ჩვენთვის არ სცალია რუსეთს თორემ სავარაუდოდ, ვერც დაბალანსებული პოლიტიკა გვიშველიდა.

– რაც შეეხება შიდა მიმართულებებს?

– სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში შიმჩნევა ტენდენცია, რომ ხელისუფლება ცდილობს, შეიმუშავოს საინფორმაციო პროპაგანდის მსგავსი საინფორმაციო მიმართულებები მედიაში, რომლის მიზანიც არის განსხვავებულად მოაზროვნეების, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეზღუდვა, რისი საბოლოო მიზანიც მათი სცენიდან საბოლოო გაყვანაა.

თუმცა, ეს კეთდება წინა ხელისუფლებისგან სრულიად განსხვავებული ხელწერით. კერძოდ, ეს ხელისუფლება ცდილობს, თავის მიმართ კრიტიკულად განწყობილი ადამიანების ავტორიტეტი შელახოს და დაამციროს საზოგადოების თვალში. ეს არის ძალიან მკვეთრი და მკაფიო მესიჯი ამ ხელისუფლების მოსვლის დღიდან მთელი ორი წლის განმავლობაში. თუმცა, ახლა უკვე განსაკუთრებული აქტივობით იწყება ეს საინფორმაციო პროპაგანდა და ალბათ, ბევრ საინფორმაციო საშუალებას მოიცავს.

რაც შეეხება ამ საინფორმაციო პროპაგანდის მთავარ ღერძს, დავიწყოთ იმითი, რომ წამოვიდა მესიჯები – „ყველა განსხვავებულად მოაზროვნე ნაციონალების სატელიტია“, „სახელმწიფო გადატრიალებას აპირებენ“ და „ყველა განსხვავებულად მოაზროვნე პოტენციური მონაწილეა სახელმწიფო გადატრიალების“, რაც თავისთავად აბსურდი იყო. ძალიან მიხარია, რომ ეს ხელისუფლება თავის შეცდომებს თუ არ აღიარებს, როგორც კი დაინახავს, რომ არ არის შედეგიანი, სტილს მაშინვე ცვლის ხოლმე, ესეც მნიშვნელოვანი თვისებაა.

ორი თუ სამი კვირა ატრიალეს ეს თემა, მერე მიხვდნენ, რომ სრული აბსურდია - სად შეუძლია წელში გადატეხილ ნაციონალურ მოძრაობას სახელმწიფო გადატრიალება? მიხვდნენ, ამ საბაბით განსხვავებულად მოაზროვნეთა დევნა სრულიად უშედეგო იქნებოდა. ამ ტაქტიკის ნაწილი იყო ისიც, რომ (და ამ თემის გაგრძელებას კიდევ ველოდები), ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც შემოვა ასპარეზზე 2016 წლამდე, იქნებოდა აუცილებლად ნაციონალური მოძრაობის სატელიტი. მიუხედავად იმისა, ის იყო ასოციირებული ნაციონალურ მოძრაობასთან თუ არა, ის მაინც იქნებოდა დაფინანსებული და გულანთებული ნაციონალური მოძრაობის იდეებით. პირდაპირი მესიჯი იყო ამორჩევლისთვის, არიქა, ამომრჩეველო, არ შეცდე, არავინ აირჩიო „ქართული ოცნების“ გარდა, იმიტომ, რომ ვინც არ უნდა აირჩიო, საბოლოოდ მოგევლინება ნაციონალური ცოცხით ხელში – ეს თემაც ჯერჯერობით გაყინა ხელისუფლებამ და წამოვიდა უკვე ახალი. შინაარსი ასეთია – სამოქალაქო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, „თვითგამოცხადებული ექსპერტები“ და „ჭურნალისტები“ – ეს არის ტერმინები, რომელთაც ამ საინფორმაცო პროპაგანდის მონაწილენი იყენებენ – ყველანი ერთად არიან ამ ქვეყნის ხორცმეტები – მიდის შურაცხმყოფელი ეპითეტები, მათი დამცირება, ღირსების და კვალიფიკაციის შეურაცხყოფა.

გუშინ ვკითხულობდი ერთი „ფეისბუკზონდერის“ სტატუსს, რომელსაც დაახლოებით ამგვარი შინაარსის სტატუსი ჰქონდა და ბოლოს წერდა, საქართველოს სამი პრეზიდენტი მოვინელეთ და თქვენ ვინ ხართ, რომ ვერ გაგისტუმროთო. იმას ვერ ხვდებიან, რომ საქართველოს პრეზიდენტები ცალკეული ადამიანები იყვნენ, მიუხედავად თავიანთი სტატუსისა, ესენი კი მთელ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მთელ მედიას, მთელ ექსპერტ-ანალიტიკოსებს, ებრძვიან და ამ ბრძოლაში ხომ ვერ გაიმარჯვებენ?! დარწმუნებული ვარ, ამას მიხვდებიან და მათი ტაქტიკა შეიცვლება. თუმცა, ძალიან ცუდია, როდესაც ხელისუფლება ცდილობს, ასე მიუდგეს განსხვავებულ აზრს.

ამას ახორციელებს სოციალურ ქსელში – „ფეისბუკზონდერეგის“ და ბეჭდურ მედიაში – შეკვეთილი სტატიების მეშვეობით. თუმცა, ბუნებრივია, ეს ყველა მედიასაშუალებას არ ეხება. ასევე იყენებენ მათთან დახლოებულ საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად პოპულარულ ადამიანებს, რომლებმაც ეს მესიჯები უნდა გაავრცელონ.

– გამოდის, რომ რაღაც მსგავსება ამ ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის მაინც არსებობს, იმის მიუხედავად, რომ სხვაობა ძალზე დიდია. პრინციპში, პირველ ორ წელიწადში ნაციონალების დროსაც გამოიკვეთა, რა იქნებოდა მათთვის პრიორიტეტი, გვახსოვს „ჩარეცხილების“ თემა, თუმცა ამის გარდა იყო სისასტიკეც საზოგადოების მიმართ...

– ნაციონალური მოძრაობა გაცილებით სასტიკი იყო ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან, რასაც ამ ხელისუფლებას ვერ დავწამებთ. მაგრამ ძალიან ცუდი, თუ ეს ხელისუფლება ჩათვლის, რომ ეყო ამ საზოგადოებას თავისუფალი მედიის, ბიზნესის და სასამართლოს ფუფუნება. თუ ხელისუფლებას საშუალება მიეცა, რომ ჩარეცხოს ეს სამოქალაქო საზოგადოება, სულ რამდენიმე თვეშია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევნები და ხელისუფლება შეეცდება, ისეთივე ყურმოჭრილი სასამართლო მიიღოს, როგორიც ჰქონდათ ნაციონალებს.

კიდევ ვიმეორებ, თუ ხელისუფლება ვერ მიხვდა ამ თავისი ტაქტიკის უპერსპექტივობას, გაუვიდა და შედეგს მიაღწია, გარანტირებულად შემიძლია ვთქვა, რომ ის ამაზე არ გაჩერდება და შემდეგი იქნება მედია, სასამართლო, მერე კი ბიზნესი. ეს იმიტომ კი არა, რომ ამ ხელისუფლების ხასიათია – უკვე გვქონდა მაგალითები წინა ხელისუფლების სახით და უფრო წინ არსებობდა პუტინის მაგალითი. იმ პერიოდში ვწერდი კიდეც, რომ სააკაშვილი ზუსტად იმ თანმიმდევრობით გაიმეორებდა, ყველაფერს როგორც ეს პუტინმა გააკეთა და სამწუხაროდ, ჩემი ვარაუდი გამართლდა.

ახლაც საზოგადოება თუ არ იქნება უფრო აქტიური, ხელისუფლებას უნდა თუ არა, ამ გზით წავა, რადგან ეს ზოგადად, ხელისუფლების ბუნებაა.

– საზოგადოებას რა ბერკეტი გააჩნია იმისათვის, რომ ეს ყველაფერი აიცილოს და ეს ხელისუფლებაც გადაარჩინოს და საკუთარი თავიც?

– საზოგადოება უნდა იყოს ფრთხილად და არ უნდა აჰყვეს ხელისუფლებას არასამთავრობების, მედიის და სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ ისტერიაში. მესმის, რომ ხანდახან შესაძლოა, მედიაც აჭარბებდეს და ჰქონდეს პოლიტიკური მიზნები, შეიძლება თვითგამოცხადებული თუ ვინმეს მიერ ნაყიდი ექსპერტებიც აჭარბებდნენ – ყიდვაში არც ერთი მხარე არ ჩამორჩება ერთმანეთს და ისევ თვითგამოცხადებული ექსპერტი სჯობს ვინმე ჯიბის ექსპერტს.

ამ ფორმულის შემმუშავებლები ამდენს უნდა ხვდებოდნენ. ვინც თვითგამოცხადებულ ექპერტს საქილიკოდ მიიჩნევს, ნაყიდი და ჯიბეში ჩასმული ექსპერტი საამაყოა? თუ მაინცდამაინც ამ ტერმინზე აქვთ გართულება, არავინ არ ეჭიდება ამ ექსპერტის სტატუსს. აქ სტატუსში კი არ არის საქმე, მთავარი საზოგადოების ინტერესია ამა თუ იმ ფიგურის მიმართ, თორემ იმ ადამიანს ექსპერტი ერქმევა თუ ალუბლის კურკა, ამას არანირი მნიშვნელობა არა აქვს. კონკრეტული სახელის და გვარის მქონე ადამიანის მიმართ აქვს საზოგადოებას ინტერესი.

ასეთი არაჯანსაღი მიდგომები აქვს ხელისუფლებას საზოგადოებრივი აზრის მიმართ და ეს ძალიან ცუდია, რადგან ეს არის ხელისუფლება, რომელიც მოვიდა სწორედ ავტორიტარიზმის წინააღმდეგ დროშით. ეს არის ხელისუფლება, რომელიც პირობას დებდა, რომ მისი მთავარი ნაბიჯი იქნებოდა ქვეყანაში მრავალპარტიული პოლიტიკური სპექტრის ფორმირების ხელშეწყობა. მილიონობით ქართველი ადამიანის ტრაგედია იქნება, თუ ეს ხელისუფლება ამ გზას გადაუხვევს.

მეორეა – გასაგებია, შესაძლოა, ხელისუფლების წინააღმდეგ მართული კამპანიები მიდიოდეს, მაგრამ ხელისუფლებამ ამას სადამსჯელო ღონისძიებებით კი არ უნდა უპასუხოს, შესაბამისი კვალფიციური და პოზიტივზე ორიენტირებული პიარი უნდა ჰქონდეს და მისი მეშვეობით შეძლოს სიტუაციის სათავისოდ შემოტრიალება.

– თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მაინც არა აქვს ისეთი ხისტი პოლიტიკა თუნდაც ამ საკითხში, როგორც მის წინამორბედს, ამის მაგალითად ტელეკომპანიების, „იბერიის“ და „იმედის“ შემთხვევებიც კმარა...

– რაც მომწონს ამ ხელისუფლების, ის არის, რომ შესაძლოა, საკუთარ შეცდომებს საჯაროდ არ აღიარებს, მაგრამ თუ მიხვდა, რომ რაღაც შეეშალა, მისი ტაქტიკა არ ამართლებს და უშედეგოა, ის დიდი დავიდარაბის და ხავსზე ჩაჭიდების გარეშე ცვლის თავის ტაქტიკას. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება ამ შემთხვევაშიც მიხვდება, რომ პრობლემა მედიაში კი არა, თუნდაც სუბიექტურად განწყობილ მედიაში, თუნდაც სუბიექტურად განწყობილ „ალუბლის კურკებში“ კი არ არის, არამედ პრობლემა ისაა, რომ თვითონ ვერ მონახა საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეფექტური გზები. თორემ, მართლაც გვყავდა ამაზე უფრო მეტად საკრიტიკო ხელისუფლებაც, ამაზე უფრო მეტად უშედეგო და უსუსურიც და შეუდარებლად ავტორიტარულიც.

რაც ამ ხელისუფლებას მისთვისვე ცუდი აქვს, ეს არის საზოგადოებასთან ურთიერთობის ნულოვანი კვალიფიკაცია, ეს არის მისი მთავარი პრობლემა, რაც შემდეგ იწვევს აგრესიას საზოგადოების მიმართ და ეს უკვე ძალიან ცუდი იმპულსებია საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობაში.

ლალი ზირაქიშვილი

უკრაინის მოვლენების ახლებური შეფასება

ევრაზიის ინსტიტუტმა თავისი მორიგი გამოკვლევა გამოსცა, რომლის ავტორი პოლიტოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი გულბაათ რცხილაძეა. გამოკვლევა უკრაინის მოვლენებს შეეხება და მასში გაანალიზებულია „მაიდნის“ მოვლენებისა და ხელისუფლების ძალადობრივი ცვლის მიზეზები და მსვლელობა, აგრეთვე, ამის შემდგომ განვითარებული პროცესები — უკრაინისთვის ყირიმის დაკარგვა და ომი დონბასში.

ბროშურის სახით გამოცემული კვლევის სათაური ნიშანდობლივია: „უკრაინა: დასავლეთის ლაშქრობა მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება“. როგორც ამ სათაურიდან გამომდინარეობს, ავტორი უკრაინის მოვლენებს ლოკალურად არ განიხილავს. მისი არგუმენტირებული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ საქმე გვაქვს გლობალურ მოვლენასთან, კერძოდ, დასავლეთის ექსპანსიასთან აღმოსავლეთის მიმართ, რომელიც დღეს არ დაწყებულა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მალევე, ახალი ძალით განახლდა. უკრაინა ამ სქემაში დასავლეთის ინსტრუმენტად მოიაზრება, დასავლეთის საბოლოო მიზანი კი რუსეთის დამორჩილებაა, რის შედეგადაც ევრაზიის კონტინენტზე დასავლეთი განავრცობს თავის გავლენას, ჩინეთის განვითარება შეჩერდება და ირანი უმნიშვნელო ქვეყნად გადაიქცევა. ეს სქემა ბჟეზინსკის „დიდ საჭადრაკო დაფაშიც“ არის მოცემული და ამ მხრივ, სენსაციად ვერ ჩაითვლება, მაგრამ საქმეც სწორედ ესაა — უკრაინაში ორ სახელმწიფოს შორის (რუსეთი-უკრაინა)კონფლიქტი, კი არა ცივილიზაციათა შორის შეჯახება დასავლურ, ნეოწარმართულ სამყაროსა და მართლმადიდებლურ სამყაროს შორის (გავიხსენოთ ჰანტინგტონის თეორია, თუნდაც არსებულ რეალობაში სახეშეცვლილი, მაგრამ მაინც აქტუალური). რუსეთი იძულებულია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს უკრაინის საქმეებში და შეაჩეროს დასავლეთის ექსპანსია. რუსეთის მიერ ყირიმის დაბრუნება თუ დონბასში აჯანყებულების დახმარება სწორედ ამ მოტივით აიხსნება და არა მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიების მიტაცების წყურვილით, რადგან აღნიშნული ტერიტორიების შეერთება რუსეთის ეკონომიკას ძალზე ძვირი უჯდება.

აი ძალზე მოკლედ ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის არსი. თუმცა უმჯობესია, თავად ნაშრომის სტრუქტურულად დაყოფილ ქვესათაურებს მივყვეთ.



„ყველაფერი ყოფილ იუგოსლავიაში დაიწყო...“

ავტორი ყურადღებას ამახვილებს 1999 წელს ნატოს მიერ, გაეროს გვერდის ავლით (ანუ საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით) **იუგოსლავიის აწ უკვე აღარ არსებული სახელმწიფოს დაბომბვაზე.** ეს მოვლენა წყალგამყოფია, იგი, ავტორის შეფასებით, მოასწავებდა დასავლეთის უხეშ ექსპანსიას, შემოტევას აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში გაბატონების მიზნით. ყოველივე ამას კი, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ანტიმართლმადიდებლური დატვირთვა ჰქონდა:

„საქმე მარტო ის კი არაა, რომ ნატოს ავიაცია ბომბებს აყრიდა მართლმადიდებელ სერბებს წარწერით „ბედნიერი აღდგომა“, და დაანგრია 50 სერბული მონასტერი და ეკლესია, მათ შორის, იუნესკოს დაცვის ქვეშ მყოფი ტაძრები გრაჩანიცასა და პეჩში, თუმცა ესეც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტებია. საქმე ისაა, რომ დასავლეთის სტრატეგებმა დაინახეს: საბჭოთა კომუნიზმის შემდეგ დასავლეთის ქვეყნებს ერთი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე დარჩათ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესა და ბალკანეთში - მართლმადიდებელი ქრისტიანობა. კომუნიზმისგან განსხვავებით, რომელიც უნივერსალურ მსოფლიო იდეოლოგიაზე აცხადებდა პრეტენზიას, მართლმადიდებლობა პოლიტიკური კუთხით არ არის აქტიური მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ის, როგორც რელიგიური სწავლება, ბევრად უფრო მტკიცედ აერთიანებს საზოგადოებას იმ ქვეყნებში, რომლებიც თავს მიაკუთვნებენ ამ კონფესიას, ვიდრე ამას აკეთებდა კომუნიზმი. ხოლო ამა თუ იმ საზოგადოების ერთიანობა მართლმადიდებელი ფასეულობების ირგვლივ არ აწყობს დასავლეთს და აშშ-ს, რომლებიც პოლიტიკური ექსპანსიის განხორციელებას აპირებდნენ. სერბების, რუსების, ქართველების და სხვა ხალხების ერთგულება მართლმადიდებლობისადმი ნიშნავს მათ დამოუკიდებლობას და „ურჩობას“ დასავლური ინსტრუქციების მიმართ. და, რაც მთავარია — მართლმადიდებელი ქრისტიანობა აერთიანებს აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს ერთიანი ცივილიზაციის (კულტურულ-პოლიტიკური არეალის) ფარგლებში, რომლის ცენტრი, გამომდინარე გეოგრაფიული მასშტაბებიდან, მოსახლეობის რაოდენობიდან, სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერიდან და სხვა ძირითადი პარამეტრებიდან, არის რუსეთი. დასავლეთს სურს, დაასუსტოს ეს კოლოსი — რუსეთი, რომ საბოლოოდ ჩაიგდოს ხელში გეოპოლიტიკური ბატონობა ევრაზიის კონტინენტზე. ამას იდეოლოგიურ წინააღდეგობას უწევს მართლმადიდებელი ცივილიზაცია, რომელიც ნაწილობრივ აერთიანებს მუსლიმ ხალხებსაც და დასავლეთისგან განსხვავებით, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ტრადიციულ ისლამთან“.

გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, რომ იუგოსლავიის დაშლას სერბეთისგან კოსოვოს გამოყოფა და დასავლეთის მიერ აღიარება მოჰყვა, რამაც ცუდი გავლენა იქონია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზეც (რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება ამ პრეცედენტის გარეშე ვერ მოხდებოდა).

„შხამიანი „სიტკბო“ — ევროპასთან ასოციაცია“

საქართველოსთვის **განსაკუთრებით აქტუალურია უკრაინის სავალალო გამოცდილება ევროასოციირებასთან დაკავშირებით. ავტორის სამართლიანი აზრით, ჩვენმა ხელისუფლებამ ხალხს ზედმეტი იმედები არ უნდა მისცეს, რომ ევროპასთან ასოციირების ხელშეკრულება ცხოვრების პირობებს გაუმჯობესებს. უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა სწორედ ეს შეცდომა დაუშვა, როდესაც ხალხს ნათელ ფერებში უხატავდა ევროპასთან დაახლოების შედეგებს. არადა, როგორც მერე გაირკვა, წაგება მეტი იქნებოდა ამ ნაბიჯისაგან, ვიდრე მოგება, მაგრამ ხალხში ხელისუფლების მიერვე გაღვივებული იმედები იმედგაცრუებამ შეცვალა.** სწორედ ამიტომაც დაუჭირა ბევრმა უკრაინელმა მხარი „მაიდანს“, რადგან ეგონა, რომ იანუკოვიჩი მათ უკეთეს მომავალს ართმევდა. არადა, დღესაც ვხედავთ, რომ უკრაინას ევროპასთან ასოციირება ვერ უშველის ვერც ეკონომიკურად, ვერც პოლიტიკურად.

„დასავლური „დემოკრატიის“ უნივერსალური იარაღი: ცილისწამება და ტყუილი“

ამ თავში **საკმაოდ დეტალურად არის განხილული სიცრუის ტექნოლოგიის გამოყენება „მაიდანზე“ პრეზიდენტ იანუკოვიჩის დასამხობად და შემდგომ, ჰოლანდიიდან გამოფრენილი მალაიზიური სამგზავრო ხომალდის კატასტროფასთან დაკავშირებით.** ავტორი მიანიშნებს, რომ ავიაკატასტროფა რუსეთის დისკრედიტაციის მიზნით იქნა გამოყენებული, ამიტომ შესაძლოა, ეს ტრაგედია სულაც ორგანიზებული ყოფილიყო - შემთხვევითი არ არის, რომ დიდი ხმაურის შემდეგ, ავიაკატასტროფის გამოძიება გასაიდუმლოებულია და მის შედეგებზე დასავლური პრესაც სდუმს.

„სად არის დაპირებული მტკიცებულებები? რასაკვირველია, ამგვარი საბუთები ობამას და მის ქვეშევდრომებს არ აქვთ, ყოველ შემთხვევაში, მათი სიტყვები ჯერჯერობით არაფრით არ არის გამაგრებული. სამაგიეროდ, აგრესიულმორჩილი მასმედიის საშუალებით მოხდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რომ ტრაგედიაში დამნაშავეა რუსეთი. ავიაკატასტროფის მომწყობად, რომლის გამოძიება ჯერ მხოლოდ დაიწყო და თავად რუსეთმა მოითხოვა საერთაშორისო გამოძიების ჩატარება, უკვე გამოაცხადეს გარკვეული მხარე (ამბოხებულები). უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში დასავლური პრესა პირდაპირ პროვოკაციებს აწყობდა. დასავლური მასმედიის ისტერიამ დაღუპული მგზავრების ოჯახების წევრებიც დაარწმუნა, რომ ყველაფერში დამნაშავეა რუსეთი და მისი მხარდაჭერით მოქმედი აჯანყებულები... არავინ დასვა კითხვა: თუ დონბასელი მებრძოლები ასეთი საშიში ტერორისტები არიან, რატომ დართეს ნება მშვიდობიან „ბოინგს“ უკრაინელმა დისპეტჩერებმა, საბრძოლო მოქმედებების ზონის თავზე გადაეფრინა? რატომ ასაიდუმლოებს უკრაინა პილოტების საუბრებს დნეპროპეტროვსკელ დისპეტჩერთან? კითხვები ჯერ კიდევ ბევრია...

ასეა თუ ისე, ვაშინგტონის კიდევ ერთი პოლიტიკური მიზანი მიღწეულია: ავიალაინერის ტრაგედიის შემდეგ ევროპა, როგორც იქნა, დათანხმდა რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციების შემოღებას. აშშ-ს და გერმანიას შორის მომხდარი ჯაშუშური სკანდალი, რომელიც დაკავშირებულია ამერიკელების მიერ გერმანიის კანცლერის პირადი ტელეფონის მოსმენასთან, უკანა პლანზე გადავიდა. ხოლო წინა პლანზე წამოვიდა რუსეთის დასჯის მოთხოვნები. გონიერების ხმა ისევ ჩახშობილ იქნა. აშშ-მა მოახერხა ევროპის ჩათრევა რუსეთთან სანქციების ომში“ — აღნიშნავს ავტორი.

„უკრაინის დესუვერენიზაცია და კრახი“

ამ თავში **ელემენტარულად, საკუთრივ უკრაინის ფინანსთა სამინისტროსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მოწოდებული ციფრებია გადმოცემული. სტატისტიკა მართლაც სავალალოა: უკრაინის ეკონომიკა „მაიდნის“ შემდგომ პერიოდში სრული კრახის წინაშეა, ბიუჯეტის დეფიციტი მარტო ივნისის თვეში მკვეთრად, თითქმის ორჯერ გაიზარდა, უკრაინული ვალუტის — გრივნის კურსი მიმდინარე თვეებში მთელი 47%-ით გაუფასურდა, მთლიანი შიდა პროდუქტი 3%-ით შემცირდა (ესეც ძალზე დიდი მაჩვენებელია). ბუნებრივია, რომ ფასები მკვეთრად გაიზარდა, ცხოვრების დონე დაეცა.**

მაგრამ ავტორი უკრაინის კრახს მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებს კი არ უკავშირებს, არამედ დასავლეთის მიერ უკრაინის სუვერენიტეტის უპატივცემულობას უსვამს ხაზს, თუ როგორ აძლევენ მითითებებს უკრაინელ პოლიტიკოსებს დასავლეთიდან, რაოდენ აშკარად იკავებენ მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებს დასავლეთის სპეცსამსახურების თანამშრომლები და ასე შემდეგ. დაბოლოს, უკრაინას დაეპატრონენ ბანდიტური წარსულის მქონე ოლიგარქები — ამ მხრივ იანუკოვიჩის დამხობა სრულ უაზრობად გამოიყურება მათთვის, ვინც „მაიდანზე“ თანასწორობისა და პატიოსნების იდეალებს ქადაგებდა.

„რატომ არ მოისურვა ყირიმის და დონბასის მოსახლეობამ უკრაინის შემადგენლობაში ცხოვრება“

მაინც **რატომ შეექმნა უკრაინის სახელმწიფოს უზარმაზარი პრობლემები ყირიმსა და აღმოსავლეთის ოლქებში? რამ განაპირობა ყირიმის სწრაფი ჩამოცილება უკრაინისაგან და ომი აღმოსავლეთში? ავტორი ამას შემდეგი ფაქტორებით ხსნის:**

1) სახელმწიფო გადატრიალების მეორე დღესვე გამარჯვებულმა ძალამ შეუტია რუსული ენის რეგიონულ სტატუსს და გააუქმა იგი;

2) „მაიდნის“ აქტივისტების ნაწილმა ალყა შემოარტყა კიევ-პეჩორის ლავრას, ამ ძალზე მნიშვნელოვან მართლმადიდებლურ კერას და მისი გადაცემა მოითხოვა არაკანონიკური „უკრაინის ეკლესიისათვის“;

3) ახალი ლიდერები არ მალავდნენ, რომ ადრე თუ გვიან უკრაინა ნატოს შეუერთდებოდა (და ამ გზით, რუსეთს დაუპირისპირდებოდა);

4) ახალმა ხელისუფლებამ სასტიკად დაარბია ან თვალი დახუჭა ასეთ დარბევებზე, როდესაც ამ ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგო, მაგრამ მშვიდობიანი საპროტესტო აქციები მოეწყო უკრაინის სხვადასხვა ქალაქში.

გამოკვლევაში მითითებულია, რომ უკრაინის აღმოსავლეთსა და სამხრეთში უამრავი ადამიანი ემხრობა რუსეთთან ინტეგრაციას, ვიდრე ევროპასთან. ეს მომენტი კი განპირობებულია ამ რეგიონებში მცხოვრები ხალხის განსხვავებული ეთნოფსიქოლოგიითა და მენტალობით, რაც, ისევ და ისევ, ცივილიზაციური ფაქტორია — გადამწყვეტ როლს ასრულებს მათი კუთვნილება (შეგნებით თუ შეუგნებლად) მართლმადიდებლური ცივილიზაციური სამყაროსადმი. დიდი მნიშვნელობა აქვს რუსული ენის დომინირებასაც.

მოცემულია ფოტომასალაც, რომელიც ასახავს, თუ რაოდენ კმაყოფილებით შეხვდა ყირიმის მოსახლეობა რუს ჯარისკაცებს, ხოლო დონბასში რამხელა რიგები იდგა საარჩევნო უბნებთან, როდესაც დონბასელებმა რეფერენდუმზე ხმა მისცეს თავიანთი რეგიონის უკრაინისგან გამოყოფას.

იხ. 9 გვ.

ამბავი მძევალი პატარა იმერელი ბიჭისა, რომელიც ჩვენი დროის ფრიად გამორჩეულ დიდ რუს პოეტს გაუნინაპრდა...

ცოტა შორ გზას მოვივლი, შორიდან დავიწყებ, რათა ბოლოში მშვიდობით გავიდე...

ისე მოხდა, რომ 1963 წლის გაზაფხულზე, უფრო ზუსტად, დაახლოებით შუა მარტი იქნებოდა, მოსკოვში მოვხვდი. სასტუმროში (Москва), სადაც გავჩერდი, იოსებ ნონეშვილიც ცხოვრობდა. თავისი ახალი ლექსების რუსულად გამოცემის გამო სტუმრობდა მოსკოვს.

ერთ საღამოს იოსებმა თავის ნომერში გადამიპატიჟა. სტუმრებისთვის პატარა ქართული სუფრა გაეშალა კახური პეწითა და ლაზათით (ჩვენებურ ხილთან ერთად ტაბლაზე თავს იწონებდა კარდენახული კვერცხისგულისფერი ჭაჭანური, აგრეთვე ჯერ ისევ ნედლი ჩურჩხელები, რამდენიმე დედას პური და ოქროსფერდაკრული გუდის ყველი, მოსკოვის ჰავის გათვალისწინებით, რასაკვირველია, არც კახური ჭაჭა დავიწყებოდა გულუხვ მგოსან-მასპინძელს). სტუმარი სამი ჰყავდა – მიხეილ ლუკონინი, ვლადიმერ სოლოუხინი და სულ ახალგაზრდა ანდრეი ვოზნესენსკი, რომლის დასამშვიდებლად და გასამხნევებლადაც მოეწყო ქართველ პოეტს ეს ჩვენებური ტრაპეზი და ორი ცნობილი საქართველოს მეგობარი რუსი პოეტიც მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით მოეწვია... იოსები ანდრეის სახელით არ მიმართავდა, სულ ჩვენებურო, ჩვენებუროს ეძახდა, რისთვისაც მაშინ განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია...

დამშვიდება და გამხნევება კი აშკარად დამფრთხალ ყმაწვილ ანდრეი ვოზნესენსკის ნამდვილად სჭირდებოდა... ხოლო თუ რატომ იყო ესოდენ დამფრთხალი და აგრერიგად შეშინებული ეს ახალგაზრდა კაცი, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა...

...1963 წლის 7 მარტს ავად გაბელადებული ნიკიტა ხრუშჩოვი პარტიულ ფუნქციონერებთან ერთად კულტურის მოღვაწეებს შეხვდა, რომელთა შორის, ბუნებრივია, ბევრი ახალგაზრდაც იყო (რ. როჟდესტვენსკი, ე. ევტუშენკო, ბ. ახმადულინა, ბ. ოკუჯავა, ა. ვოზნესენსკი). სწორედ იმ ხანებში ა. ვოზნესენსკიმ ქალაქ ვლადიმირში გამოსცა თავისი პირველი ლექსების კრებული („მოზაიკა“), რასაც ეგრევე დიდი სკანდალი მოჰყვა. „საბჭოთა ზნეობრიობის დამცველთ“ (უფრო სწორად, ვაიდამცველთ) ხელად „სულ მაღლა, ზევით“ აფრინეს წერილები, რომ გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტი, გვარად ვოზნესენსკი, რომლის „ორაზროვანი, რიტორიკული ლექსები მრუდე სარკეში ასახავენ ჩვენს სინამდვილეს და ადამიანის ყველაზე ბნელ კუთხეკუნჭულთ წარმოაჩენენ“. ამას დაერთო ის ამბავიც, რომ ა. ვოზნესენსკის გაბედული ინტერვიუ მიეცა მავანი პოლონელი ჟურნალისტისთვის, რომელმა ინტერვიუმაც ფრიად აღაშფოთა „მთავარი საბჭოთა პოლონელი“ ვანდა ვასილევსკაია (დიდად სახელგანსმენილი უკრაინელი დრამატურგის, აკადემიკოს ა. კორნეიჩუკის მეუღლე). ეს თავისი აღშფოთება ამ „მთავარმა საბჭოთა პოლონელმა“ სწორედ კრემლში 7 მარტს გამართულ თათბირზე „გადმოღვარა“. და ცბიერი ცრუბელადი ნიკიტა ხრუშჩოვი ამ მომენტს ხელიდან როგორ გაუშვებდა! ეგრევე ტრიბუნაზე „გამოათრია“ თავზარდაცემული, დაელდიანებული ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც პირველი ორიოდე სიტყვა თქვა თუ არა: როგორც ჩემი საყვარელი ვლადიმერ მაიაკოვსკი, მეც არა ვარ კომუნისტური პარტიის წევრი, მაგრამ როგორც იგი, მეც... და პირაქაფებულმა, გავეშებულმა ხრუშჩოვმა სიტყვა აღარ დაამთავრებინა, აღრიალდა, მაგრამ რა აღრიალდა: **„დაგფშვნით, დაგფშვნით! უყურეთ ერთი, პარტიის წევრი არა ვარო. რახან ბრძოლაა, ბრძოლა იყოს! დენთი ჯერ არ გამოგვლევია და არც გამოგველევა. შენ ჩვენს ხალხს კი არ წარმოადგენ, პირიქით არცხვენ... უყურეთ ერთი, როგორ ექლესება ჩვენი ხალხის მტრებს. შავ დღეს დაგაყრით, იცოდეთ... ხვალვე, დიახ ხვალვე, აიღეთ უცხოეთის პასპორტი და ბებიაჩემის მამასთან მიბრძანდით“...**

ანდრეი ვოზნესენსკი ქვეყნიდან გაძევების შიშმა შეიპყრო. ვიღაც-ვიღაცების რჩევით მონანიების წერილიც კი გაგზავნა, თუმცა პასუხი არ ჩანდა... და ახალგაზრდა პოეტს პირველი ვინც ამოუდგა მხარში, ერთ-ერთი იოსებ ნონეშვილი იყო, რომელმაც მიხეილ ლუკონინთან და ვლადიმერ სოლოუხინთან ერთად, ნამდვილი ძმური მფარველობა გაუწია თავის თხუთმეტი წლით უმცროს მეგობარს, რომელიც მალევე გამოარიდა, უმაღლესი ხელისუფლებისაგან საქვეყნოდ შერისხული და საბედისწეროდ აფორიაქებული, აქა-იქ უკვე ცერად მაცქერალ მოსკოვს და პირად სტუმრად ჩამოიყვანა საქართველოში. აშკარად დამთხვეული ხრუშჩოვის ავად სახსენებელი მმართველობის პირობებში იოსების მხრიდან ეს ფრიად გაბედული, ფრიად ვაჟკაცური ნაბიჯი იყო. თანაც ცნობილია, რა დაუფარავი სიძულვილით სძულდა ამ ლოთმეგრუვე ხოხოლს იმ „მრისხანე“ გორელის სამშობლო, რომლის ანთებული ჩიბუხის თავში ჩაკაკუნებაც მთელი ცხოვრება გველის ნაკბენსავით ეწვოდა.



ანდრეი ვოზნესენსკი. 1985 წ.

მალე ანდრეი ნონეშვილების ოჯახის ფრიად სასურველი წევრი, უფრო სწორად, ძალიან ხშირი სტუმარი გახდა, როგორც თბილისში, ისე კარდენახში (იოსებ ნონეშვილის სახლ-მუზეუმში) უკვე ძვირფას ექსპონატად ქცეული ბევრი საგანია (ფოტოსურათები თუ პირადი მიმოწერა), იოსებ ნონეშვილისა და ანდრეი ვოზნესენსკის ალალ ძმობა-მეგობრობაზე რომ მოგვითხრობს.

აქ ბარემ ისიც უნდა ვთქვა, რომ ხატკეთილი მედეა და იოსებ ნონეშვილების სტუმართმოყვარე ჭერი ყოველგვარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური „უამინდობის“ დროს ანდრეისთვის ერთგვარ თავშესაფრად იქცა, სადაც ის თავს უშიშრად გრძნობდა, სანამ ავად მოქურუშებული პოლიტიკური ცა არ გადაიკარებდა ხოლმე. ასე იყო 1967 წლის დამდეგსაც. ერთ-ერთი კეთილისმსურველი კრიტიკოსის რჩევით პოეტმა, „ლიტერატურნაია როსიას“ ფურცლებზე რამდენიმე ახალი ლექსი გამოაქვეყნა ლენინზე (ცხადია, ჯავშნადაც და თავისი სათქმელის თამამად გამოსახატავადაც), საერთო სათაურით – „ეოკი-ტოკი“. ამ დროს, მართალია, ტაკიმასხარა „ნიკიტუშკა დურაჩოკი“ უკვე ისტორიის დამტვერილ არქივში ესვენა, მაგრამ კვლავ და კვლავ არ ისვენებდნენ იმისი უკუდო ამპარტავანი, ქვეყნის იდეოლოგიური სიწმინდის ძალად მაცხონე კუდები. კონსერვატორებთან ერთად ამჯერად ვაიუშველებელი ატეხა თვითონ ქვეყნის მთავარი ბანკის გონებაშეზღუდულმა მმართველობამ, რომელმაც პოეტური სახეები და სიმბოლოები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და უმალ „გამანადგურებელი მამხილებელი“ ბეზღება აფრინა „ზევით, მეცხრე ცაში“. ბანკის მმართველობა განსაკუთრებით გააგიჟა ერთმა სტრიქონმა – ...„მოაშორეთ ფულს ლენინი“ (...Уберите Ленина с денег), რომელი სტრიქონითაც ვითომ მთელ საბჭოთა საბანკო სისტემას აქცევდა (ამაზე ახლახან რუსულ პრესაშიც დაიწერა)...

ანდრეი იძულებული გახდა, რომ დროებით გამოსცლოდა ავად აყაყანებულ დედაქალაქს და თბილისში ისევ ნონეშვილებს მოაშურა... ჩემს ძველ რვეულში იმ დროის არაერთი ჩანაწერიც მოვიძიე...

* * *

სულ პირველად ანდრეის იოსებთან ერთად 1960 წელს შევხვდი გორში. მაშინ იოსებმა როგორც ქართველი, ისე გამაცნო. არა, ახლა, რასაკვირველია, რუსია, მაგრამ ფესვი ქართული აქვსო. მე, რა თქმა უნდა, ხუმრობად მივიღე ეს ნათქვამი იოსებისგან, რომლისთვისაც თუ რამ ამქვეყნად კარგი იყო, ყველას და ყველაფერს საქართველოსთან ჰქონდა კავშირი. ის ნამდვილად სიყვარულის საყოველთაო დესპანი იყო საქართველოსი. ის მუდამ ყველგან და ყველაფერში საქართველოს ეძებდა. მაგრამ გზაშიც და მერეც, უკვე თბილისში, ნონეშვილების ოჯახში, ანდრეიმ თვითონვე თქვა, იოსებმა გორში მართალი გითხრა ჩემს ქართველობაზეო. მე ჯერ ვფიქრობ, მაგრამ დაწერით აუცილებლად დავწერ პოემას ჩემს დიდ პეპერაზეო...

ერთხელაც, ჩემს ძველ ჩანაწერებში რომ ვიქექებოდი. ანდრეის მონაყოლსაც წავაწყდი. ჩემი თავის შესამოწმებლად და ზოგიერთი ძველი ამბის გასახსენებლად იოსების ვაჟკაცსაც შევხვდი, ჩვენს ძვირფას სანდროს, ჩინებულ ისტორიკოსს, რომელმაც თავისი ახალგაზრდული, სხარტი გონებით ბევრი რამ გამიცოცხლა და განმიახლა მეხსიერებაში.

ერთი პირობა დავაპირე კიდეც, ჩავუჯდები და ყველაფერს დაწვრილებით დავწერ იოსებისა და ანდრეის ურთიერთობაზეც და თვითონ ანდრეის მონაყოლსაც-მეთქი, მაგრამ გადადებული საქმე, მოგეხსენებათ, ეშმაკისაა...

ბოლო ორ ათეულზე მეტი დრო, როგორც ცნობილია, პოლიტიკურ ძილსა თუ უძილობაში გამოგვეპარა. მეოცე საუკუნემ თითქოს საკეისროთი შობა ოცდამეერთე საუკუნე. უამრავი სისხლი და მოკვდინება ახლდა ამ საშინელ წლებს. იოსებ ნონეშვილი მეოცე საუკუნის ხმაგამაყივარ სახალხო პოეტად დარჩა. ანდრეი ვოზნესენსკი, უკვე ფრიად აღიარებული, 2010 წლის 1 ივნისს გარდაიცვალა...

და აი, 2011 წელს ხელთ ჩამივარდა ანდრეის სიკვდილის შემდეგ გამოცემული ვეება წიგნი (თითქმის 700-გვერდიანი, უიშვიათესი გამოცემა) – **„პროზის ძარღვები“**, რომლის ანოტაციაში ნათქვამია, რომ ანდრეი ვოზნესენსკი (1933-2010) რუსეთის მიწა-წყლის დიდი პოეტია, რომლის ლექსმაც, თავისი უჩვეულო რიტმითა და თავაშვებული მეტაფორებით, აშკარად დაარღვია რუსული პოეზიის დადგენილი კანონები (როგორც თავის დროზე მაიაკოვსკიმ, უთუოდ ქართული ლექსის ზეგავლენით – ბ. ბ.). ვოზნესენსკი მილიონთა კერპად იქცა, იმის მოსასმენად სტადიონები ივსებოდა, იმისი ყოველი ახალი წიგნი იყო მოვლენა და პოეტის ეს დიდება წუთიერი, წარმავალი არ ყოფილა – სიცოცხლის ბოლო დღემდე თან ახლდა. ასევე დიდად საგულისყურია პოეტის პროზაც, იმისავე ლექსივით კაშკაშა, მეტაფორული და პარადოქსული.

პოეტი გვიყვება თავის სიყმაწვილეზე, მთელ ნახევარსაუკუნოვან ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ცნობილ პოეტებთან, მწერლებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან, საერთოდ თვალსაჩინო მოღვაწეებთან შეხვედრებზე...

ანდრეი ბევრს წერს ბორის პასტერნაკზე როგორც თავის და საქართველოს დიდ მეგობარზე.

ანდრეის მონაყოლისდა მიხედვით, პასტერნაკს საქართველოს მიმართ ისეთივე დამოკიდებულება ჰქონია, როგორც ფრიად პატივცემული მანდელოსნის მიმართ – მამაკაცური და ჭაბუკური.

იგი თურმე რომანის დაწერასაც აპირებდა საქართველოზე. რომანის მთავარი გმირი უნდა ყოფილიყო წმინდა ნინო, რომანს უნდა აესახა პირველ ქრისტიანთა ცხოვრება, როცა მთავარის ღვთაებისადმი თაყვანისცემა ორგანულად გადადიოდა ახალი კულტურის წეს-ჩვეულებებში.

მკითხველი აქ იმასაც შეიტყობს, რომ ბორის პასტერნაკს მიმოწერა ჰქონდა დიდი ლადო გუდიაშვილის ქალიშვილთან ჩუქურთმასთან (ჩუქასთან). გუდიაშვილის სახელოსნოში, მინის ქვეშ, როგორც მუზეუმის რელიკვია, დღესაქამომდე ბრწყინავს ოქროს ყავის ფინჯანი, რომელსაც პოეტის ბაგე შეხებია. ყოველ ჩამოსვლაზე პასტერნაკი აუცილებლად სტუმრობდა თურმე გუდიაშვილს, რომელიც როგორც **„უწონო შუქის ძნა“** ისე დაჰყვებოდა სტუმარს და ათვალიერებინებდა თავის სურათებს, თვითონ სტუმარი კი ამ დროს **„ისე ლივლივებდა სურათებს შორის, როგორც ღიმილი“.**

პასტერნაკის გუდიაშვილისეულ გრაფიკულ პორტრეტში ანდრეი მკვეთრად გამოკვეთილ ქართულ ნაკვთებს ხედავს.

იხ. 6 გვ.

ამბავი მძევალი პატარა რომელიც ჩვენი დროის დიდ რუს

(მეხუთე გვერდიდან)

ქართულ კულტურას პირველად პასტერნაკმა მაზიარაო, – წერს იქვე ანდრეი ვოზნესენსკი. – პირველი პოეტი, ვინც მან გამაცნო, სიმონ ჩიქოვანი იყოო. მე განმაცვიფრა ამ ლოყებჩაცვივნული წყნარი კაცის იდუმალმა ცეცხლმაო. ბორის პასტერნაკი თურმე „აღტაცებული გუგუნებდა სიმონ ჩიქოვანის იმპრესიონიზმზე, რომელიც იმას თავისებურად ესმოდა. ამ ცნებაში პასტერნაკი შოპენსაც გულისხმობდა და ვერლენსაც. მე გაოგნებული ვუცქეროდი ამ ორ ერთმანეთის ტრფიალ არტისტს, იმათი საუბარი ხან გაუგებარიც კი იყო ჩემთვის – ეს იყო განდობილთა, უტყუარი ძმობის ორდენის მსახურთა საუბარი, აშკარად საიდუმლო რამ სერობას ვესწრებოდი, სადაც ქართული სახელები და ტერმინები ჩემთვის მიუწვდომელი წეს-ჩვეულების სიმბოლოებად მეჩვენებოდაო“.

მერე პასტერნაკსა და ჩიქოვანს ახალგაზრდა პოეტისთვის წაუკითხვინებიათ ახალი ლექსები. და ეს იყო ჩემი პირველი საჯარო განხილვაო, წერს ანდრეი, რომელსაც არც იმის თქმა ავიწყდება, რომ უსამართლოდ მოკვდინებული პაოლოსა და ტიციანის ერთგულ ბორის პასტერნაკს უზიარებია იგი, თუ, უფრო სწორად, ხელი დაუსხამს ქართული პოეზიის რუსულად გადასაენებლად. და პირველი პოეტი, ვისი ლექსიც რუსი მკითხველისთვის გაუცნია, იოსებ ნონეშვილი ყოფილა...

ერთ-ერთ ჩანაწერში ისიც აღმინიშნავს, როგორ ემადლიერება ანდრეი ქართველებს თავისი მშობლების გარდაცვალებისა და დაკრძალვის დროს გამოჩენილი თანადგომისა და თანალმობისათვის. კერძოდ, მადლიერებით იხსენებს ისევ იოსებ ნონეშვილსა და ზურაბ წერეთელს. სხვათა შორის, იმისთვის, რომ მამა, ფრიად დამსახურებული პიროვნება, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაეკრძალა, თხოვნის წერილით მიუმართავს თვითონ ბრეჟნევისთვის, რომლის უნებართვოდ იქ თურმე კაციშვილი ვერ დაიმარხებოდა (ასე იყო, ცოცხალიც სახელმწიფოს ეკუთვნოდი და მკვდარიც. დღეს კი, თავისუფალნი და ჩვენი თავის ანაბრად დარჩენილნი, არც სიცოცხლეში ვეკითხებით ვისმე და არც სიკვდილის შემდეგ!)...

მშობლების საფლავის ძეგლის პროექტის ავტორი თვითონ ანდრეი იყო (იგი პროფესიით არქიტექტორი გახლდათ, მოსკოვში რუსთაველის ძეგლის პროექტიც ვოზნესენსკის ნახელკეთილარია – გ. გ.) **„ჩემი მშობლების ძეგლის პროექტი ფაქიზად და ზუსტად ზურაბ წერეთლის სახელოსნოში განხორციელდა,** – წერს ა. ვოზნესენსკი, – **ჩემი დიდი მადლობა ზურაბს. მადლობა ტარიელს, გრანიტის მჭრელს, ვაჟას (გვარებს არ ასახელებს – გ. გ.), ყველა ქართველ ოსტატსა და მუშებს, ვინც ხელით, ამწეს გამოუყენებლად, მოათრია სამტონიანი ლოდი“.** ამას იმიტომ ვწერ, რომ მთელ ამ უზარმაზარ წიგნში პოეტი მუდამ განსაკუთრებული სიყვარულით ახსენებს საქართველოს და იმ ქართველებს, ვისთანაც ოდესმე სადმე შეუხვედრებია ბედს.

* * *

ანდრეი ვოზნესენსკისთან სხვადასხვა დროს ჩემი შეხვედრებისა და საუბრების ძველი ჩანაწერები თვითონ პოეტის მიერ ამ წიგნში მონაყოლთან შევაჯერე, მაგრამ მეტი დოკუმენტურობის თვალსაზრისით ქართველი მკითხველისთვის მაინც თავად ავტორის ტექსტის შეთავაზება ვამჯობინე.

ალბათ, ურიგო არ უნდა იყოს იმის მოსმენა, დღეს უკვე საქვეყნოდ (ლიტერატურულ მსოფლიოს ვგულისხმობ) აღიარებული დიდი რუსი პოეტი რას ამბობს თავის წარმომავლობაზე, ანუ როგორ დაამყნო ისტორიის მდინარებამ ვოზნესენსკთა კვირტი თუ კალამი ქართულ საძირეზე.

ზოგიერთ უცხო ტომის სიტყვისშემოქმედს იქნებ ეს არც ჩაეთვალა საჭიროდ ან სულაც მიეჩქმალა, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი სულიერი სიმართლის ადამიანი ყველაფერში ბოლომდე მართალია და არავისგან არც დასამალი არა აქვს რა.

მე ვჩუმდები. სიტყვას მართმევს თვითონ ანდრეი ვოზნესენსკი:

– ჩემი პირველი წიგნი ვლადიმირში გამოვიდა, ვლადიმირელნი თავიანთი მიწა-წყლის შვილად მთვლიდნენ, რადგან ბავშვობა ვლადიმირის ოლქის კირჟაჩში გავატარე. ვლადიმირში გამოსასვლელად რომ ჩავედი, იქ რედაქტორმა კაპა აფანასიევამ მიპოვა და გამოცემა შემომთავაზა.

კაპა წმინდა ქალი იყო. თითზე გადასახვევიც არა ებადა რა. ქმართან, შვილებთან, მოხუც დედასთან და დედამთილთან ერთად ძველ ხის სახლში ცხოვრობდა. იქ დივანზე მუდამ ვიღაცას ეძინა, ან მავან სტუმარს ან ვინმე უსახლკარო მწერალს, როგორც ეცხოვრებოდა, ისე ცხოვრობდა. ადამიანის ცნობის საოცარი ალღო ჰქონდა. მან ბევრი ვლადიმირელი პოეტი აღმოაჩინა.

კაპას წყალობით ჩემი „მოზაიკა“ რომ გამოვიდა, ეს ამბავი მეხივით გავარდა. მოსკოვიდან დარეკეს, ტირაჟის დაპატიმრება ბრძანეს, მაგრამ წიგნი უკვე გაყიდული იყო. კაპას მოსკოვში უხმეს, მაშინ კულტურის მინისტრი ვინმე პოპოვი იყო, უმალ თათბირი მოიწვია და კაპას სახალხოდ შავი დღე აყარა. ის კი არა, სამსახურიდანაც გააგდეს.

იმ ხანებში „ნედელიაში“ (გაზეთ „იზვესტიის“ ყოველკვირეულ დამატებაში. – გ. გ.) ჩემი რჩეული ლექსები დაიბეჭდა. ერთ-ერთი ლექსი კაპას ეძღვნებოდა. ამ მიძღვნამ, როგორც ჩანს, ზემოქმედება მოახდინა ადგილობრივ ხელისუფლებაზე. იფიქრეს, რომ კაპას გამოესარჩლა თავად აჯუბეი, ხრუშჩოვის ყოვლიშემძლე სიძე, გაზეთ „იზვესტიის“ რედაქტორი. შერისხული კაპა ჩქარა-ჩქარა სტამბის მთავარ ინჟინრად დანიშნეს და ხელფასიც კი მოუმატეს.

ცენზურამ „მოზაიკიდან“, მთელი ტირაჟიდან, ამოჭრა ლექსი „პეპერა“. და სუფთა ფურცელი ჩააწებეს. მაგრამ სარჩევში მაინც დარჩა სათაური „პეპერა“. ამისთანა, მაინც რა ლექსი იყო, ასე რომ დააფრთხო ხელისუფლება?

ლექსში მოხსენიებული მყავდა მამაჩემის პაპის პაპა – ანდრეი პოლისადოვი, უფრო სწორად, ეს იყო ჩვენი ოჯახური ლეგენდა წინაპარზე, რომლის შესახებაც მაშინ ბევრი არაფერი არ ვიცოდი.

აი, ის ლექსიც.

პეპერა

ზამთარს ავად უომია, –
ტევრი თოვლქვეშ წახრილა;
შორიახლო მურომია,
გათანგულს და
პყრობილს...
და შეწევნის
ჟინი მიპყრობს,
მერე რა, თუ თოშია,
მაგრამ ხელის აპყრობა
უკვე რაღა დროსია!..
მიიკვედლებს რუსეთი
უპოვარს და უჭეროს,
ცრემლს დაიდენს
რუსავით
ბერი დღემოუჭმელი,
უმწეო, ვით პეპელა, –
ჩემი დიდი პეპერა.

დედაჩემს კარგად ახსოვდა პაპაჩემის ბებია, პოლისადოვის ქალიშვილი. შავგრემანი ქალი იყო, საკმაოდ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი, ყველაფერში ეტყობოდა მთის შვილობაო.

„შენი პეპერის პეპერა – ანდრეი პოლისადოვი, – მწერდა დედაჩემი, – მურომის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი იყო, რომლისა, აღარ მახსოვს. ბებია იტყოდა ხოლმე, ანდრეი ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭი ჩა-

იოსებ ნონეშვილი და ანდრეი ვოზნესენსკი გორში. 1960 წ.

მარხილს მოსდევს
მარხილი.
მოჰყავთ საქართველოდან!
(ბიჭი მეფის მძევალია.)
ტყვეობას არ ელოდა,
რა ქნას,
თმენა ევალება.
უკან დარჩა
მწვანე მთები,
ვაშლიანი ბაღები.
თვალს არ ეპირმზითება
და გულს არ ელაღება.
უჟმურ ბედთან მორკინალს
მწარედ უჭერს ბორკილი.
საქართველო
ენატრება,
საქართველო
ელანდება
მოუყვანიათ როგორც ქართველი მძევალიო, მგონი, კადეტთა კორპუსში იზრდებოდა, მერე კი სემინარიაშიო. როცა მარია ანდრეევნას შვილები კორჟიჩში ჩამოვიდნენ, ყველანი ამბობდნენ: „ქართველები ჩამოვიდნენო“...

მახსოვს, დედაჩემი ხან ხუმრობით როგორ ეძახდა მამაჩემს „ქართველ დესპოტს“.

მურომში როცა კი ჩავდიოდი, ხალხში გავდიოდი, კითხვა-კითხვით ვეძებდი წარსულში გასხლეტილ ძაფს და თავს უტყუარ ანდრონიკოვად ვგრძნობდი, ეს არ იყო ვიღაც უცხოს, თუნდაც ძვირფასი ადამიანის – პოეტისა თუ მავანი ისტორიული პერსონაჟის ძიება, ეს იყო ჩემივე თავის, ჩემივე წარსულის, ჩემივე ბედ-იღბლის ძებნა, ისტორიის სისხლხორცეული შეგრძნება, რაც მთავარია, ბედიც მიღიმოდა. ტაძარი, რომელშიც პოლისადოვი მსახურობდა, ახლაც მოქმედებდა.

ქვითკირის გალავანში სასწაულად გადარჩენილი საფლავის ქვა ვიპოვე, ნაპირებჩამომტვრეული. ქვას პოლისადოვის სახელი და გარდაცვალების თარიღი ეწერა. რაღაც უცნაური ფერი დაჰკრავდა ამ წავარდისფრო ლაბრადორს, თითქოსდა ცრემლებით დაწინწკლულს, სულ ფერის ცვლაში იყო. დილით, სისხამზე, სხვანაირი ჩანდა, საღამოს, მიმწუხრში, სხვანაირი. ფერს იცვლიდა აგრეთვე ამინდისდა მიხედვით. მთვარიან ღამეში ხომ სულ მეუცნაურებოდა, ხან თითქოს ამეთვისტო იყო, ხან გრანიტი, ხან უბრალოდ ნაცრისფერი ხდებოდა, რუხი, ხანაც კუშტად წაიიასამნისფერებდა. მოკლედ, განწყობილების ქვად მეჩვენებოდა. ან იქნებ სულაც ცვალებადი დროის მოუხელელი ფერისა იყო, ვინ იცის.

თანდათან ყველაფერი ნათელი გახდა. დაბადებულა ანდრეი პოლისადოვი 1814 წელს. იმერეთის აჯანყების შემდეგ გადასახლებულთა სიებს, ერმოლოვის მიერ ხელმოწერილთ, შემოუნახავთ რეპრესირებულთა გვარ-სახელები. 1820 წელს ვლადიმირში ჩაუყვანიათ და მაშინვე უშვილებიათ.

ანდრია (ანდრეი) შემთხვევით, ალალმედად არ დაურქმევიათ საქართველოდან მძევლად წამოყვანილი პატარა ბიჭისთვის. წმინდა ანდრია საქართველოსა და რუსეთის მფარველად ითვლებოდა. მქადაგებელი წმინდა ანდრია პირველწოდებული, ხელთ ჯვარცმის სამჭვალი რომ ჩაებღუჯა, დასავლეთ საქართველოში ჩავიდა და იქ ქრისტიანობა გაავრცელა.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი ნუსხა მოგვითხრობს, ვითარ გადაიარა მან „რკინის ჯვრის მთა“. მერე უამთააღმწერელი იქვე დასძენს: „ერთი თქმულებისდა თანახმად, ის ჯვარი თავად ნეტარ ანდრიას დაუდგამსო“.

ამასვე ვკითხულობთ ძველსლავურ შედევრში („წარმავალ წელთა ამბავი“): „ავედ მთასა ამას, დავლოცე, დავდგი ჯვარი“... გადმოცემისდა თანახმად, მქადაგებელი ანდრია, რუსეთში ქრისტიანობას რომ ავრცელებდა, კიევსა და ნოვგოროდში ჩასულა. არც ის არის შემთხვევითი, რომ ანდრიას დროშის ლურჯი ჯვარი იფარავდა იმპერიის ზღვებს.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ „წარმავალ წელთა ამბავში“ პირველად ვხვდებით ქალაქ მურომსა და გვარტომ „მურომს“.

ანდრეი პოლისადოვი რუსეთის სულიერი ცხოვრე-

იმერელი ბიჭისა, ფრიად გამორჩეულ პოეტს გაუწინაპრდა...

ივერიის ხატი – მურომის მფარველი

ბის იდუმალი ფიგურა იყო. წარმომავლობა მოსვენებას უკარგავდა. თითქოსდა უხილავი რამ ხელი ხან აღამაღლებდა, ხანაც შერისხავდა და თავსატეხს რასმე უჩენდა. თან ვლადიმირისა და ანას ორდენებით აჯილდოებდნენ, თანაც გვერდს უვლიდნენ, არ ახსენებდნენ. ის კი არა, დიდი თავადის ნიკოლაი მიხაილოვიჩის მიერ შედგენილ „პროვინციულ რუსეთის ნეკროპოლში“ სარჩევში მოხსენიებულია, მაგრამ შიგ აღარ იხსენიება, გაუგებარია რატომ.

ყველას აზრით, ის ფრიად განათლებული ყოფილა. ვლადიმირის სემინარია, სადაც იზრდებოდა, XIX საუკუნის 30-იან წლებში ბურსა კი არა, უფრო საეკლესიო ლიცეუმი იყო. იმ წლებში ვლადიმირის გაზეთს გერცენი რედაქტორობდა. სემინარიაში სერიოზულად იკითხებოდა ფილოსოფიისა და ისტორიის კურსები. სტუდენტები ბეჭდავდნენ ლექსებს, ფიგურულთაც.

შემონახულია პოლისადოვის ლექსებიც. უკვე მურომში ყოფნისას მან შექმნა შრომა ადგილობრივ სიტყვა-თქმებსა და ადათ-წესებზე, რაც მეცნიერებათა აკადემიამაც აღნიშნა. ის თურმე გაოცებული იყო ზოგიერთი სლავური და ქართული სიტყვების მსგავსებით... სუზდალის პატარა მდინარე კზა პირდაპირ ქართული გზიდან მოგია გამოთქმა: ვისაც რა უნდა, ისა თქვას, მთავარია, წისქვილმა ფქვასო.

ძალიან ჰყვარებია მუსიკა. სამხმიან ძველსლავურ საგალობლებში ძველი ქართული ხალხური საგუნდო სიმღერის ნახმევი ესმოდა. უწერია კიდეც, პოლიფონიურმა „ანგელოზებრმა“ საგუნდო სიმღერამ ჩვენამდე ბერძენთაგან კი არა, რომელთა სიმღერა უნისონურია, ქართველთაგან მოაღწია, ხოლო ქართველთ ქალდეველთაგან აქვთ შეთვისებულიო.

80-იან წლებში პოლისადოვი მოუსვენარი ივანე ლავროვის ძიებებს მფარველობდა, რომელმა ლავროვმაც გამოიგონა უჩვეულო „შეხმატკბილებული რეკვა ზარებისა“, რასაც გამომწვევად „თვითრეკვა“ უწოდა, და ფანატი პოლისადოვი თავის სავანეში მიიწვია. უვაროვების დიდებულმა ოჯახმა, მოგეხსენებათ, გრაფები იყვნენ, დიახაც პოლისადოვის ზეგავლენით მიჰყო ხელი კავკასიის არქეოლოგიის შესწავლას. უვაროვების თაოსნობით მოხდა 90-იან წლებში სვეტიცხოვლის ტაძრის რესტავრაცია.

პოლისადოვის დაუცხრომელი ხასიათი მურომის ტაძრის გაბედულ გარდაქმნაშიც გამოჩნდა.

ამ ტაძრის ადგილმდებარეობა მურომში რამე შემთხვევის შედეგი არ ყოფილა. მურომი იმხანად ქვეყნის სულიერი ცელა იყო. ნაპოლეონი რომ მიუახლოვდა, სახელგანსმენილი ივერიის ხატი მურომის ტაძარში გადაიტანეს პოსადზე. მურომში დაბრძანების გამო „ყოველწლიურად, 10 საქტემბერს“ ლიტანია იმართებოდა ტაძრიდან მთელი ქალაქის გარშემო. ივერიის ხატი მურომის მფარველი გახდა. მოსკოვში გადაბრძანების შემდეგ მურომში ამ შედევრის ფერწერული ასლი დარჩა.

მაგრამ საიდან გაჩნდა თვითონ ივერიის ხატი? ხატი რუსეთში ჩამოაბრძანეს 1652 წელს ივერიის მონასტრიდან, რომელიც ძმებს იოანესა და ევქვთიმეს, ბაგრატიონებს, დაუარსებიათ X საუკუნის ბოლოს. ხატის ფერწერა ქართული ხელწერისაა. სავსებით გასაგებია, რომ ქართველი მძევალი გამოიგზავნა ქართული სიწმინდის სამსახურად... არქივის ნუსხებსაც თავიანთი პოეზია აქვთ... ალბათ, ვერცრას ვერ გავხდებოდი და ჩემს ძებნა-ძიებას არცრა ფასი არ ექნებოდა, თუ არა ვლადიმირელი არქეოლოგი ნ. კონდაკოვა და მოსკოველი ბ. ხლებნიკოვი.

ანდრეი ვოზნესენსკი
და მედეა ნონეშვილი,
თბილისი, 1977.
სანდრო ნონეშვილის ფოტო



მედეა, ჩემი ძვირფასო, არაჩვეულებრივი მედიკო, წიგნი იწყება „მედიკო მედიკო“-თი — ყველა ისინი გამსჭვალულია იოსების ნათელით, როგორ ვწუხვარ, რომ თავიდანვე არ შემატყობინეს მისი ავადმყოფობის შესახებ. გეამბორები თბილად — შენი ანდრეი ვოზნესენსკი, ვეამბორები სანდროს

იმიერ ბაგრატიონ-ბაგრატიონ ... ეროვნული ... ე�ოვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ... ერო

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მარგველაშვილი:
საქართველომ თავისი ევროპული არჩევნისთვის საფასური 2008 წელს გადაიხადა

საქართველოს პრეზიდენტი მსგავსებას ხედავს ყირიმსა და საქართველოს მოვლენებს შორის

საძართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მიიჩნევს, რომ თუ ყირიმის ანექსია იყო რუსეთის რეაქცია უკრაინის ევროკავშირთან დაახლოების გამო, საქართველოსთან დაკავშირებით 2008 წელს რუსეთთან აგვისტოს ომი იყო ის საფასური, „რომელიც საქართველომ ევროინტეგრაციისათვის გადაიხადა“.

„ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორი დრამატული მოვლენები განვითარდა უკრაინაში... რაც შეეხება საქართველოს, მან ეს ყველაფერი თავის თავზე გადაიტანა ექვსი წლის წინათ. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნები დაისაჯნენ თავისუფალი არჩევნებისათვის, რომლის ერთ-ერთი ფორმაცაა ევროკავშირთან ასიგნაციის შესახებ შეთახმება. ჩემი აზრით, საქართველომ საფასური გადაიხადა თავისი არჩევანისათვის 2008 წლის აგვისტოში, ახლა კი იგივეს ვხედავთ ყირიმსა და უკრაინის სხვა ნაწილებში“, — განაცხადა 29 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა სტამბოლში მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმზე.

მარგველაშვილის სიტყვებით, თავის დროზე საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის საკითხი რომ უფრო აქტიურად დასმულიყო, არ არის გამორიცხული, რომ ყირიმის ანექსია, შეიძლება, არც მომხდარიყო. ამავე დროს, საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად ამისა, თბილისი „ცდილობს, იყოს კონსტრუქციული“ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობაში, და მოაწესრიგოს ქვეყნებს შორის თუნდაც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი.

შეგახსენებთ, რომ რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის შედეგად 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა აღიარა საქართველოს ორი რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა და შეიყვანა დამატებითი ჯარები და შეიარაღება თავიანთ ბაზებზე ამ ტერიტორიებზე. მსოფლიოს ყველა ქვეყანა — ვენესუელის, ნიკარაგუასა და ნაურუს გარდა — აღიარებს ამ რეგიონებს საქართველოს ტერიტორიად, რომელიც ოკუპირებულია რუსეთის მიერ.

არასაკმარისი ზომები

ჩვენთვის მოცემულ კომენტარებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა მალხაზ მაცაბერიძემ განაცხადა, რომ იზიარებს პრეზიდენტ მარგველაშვილის აზრს. ქართველი პოლიტოლოგის აზრით, საქართველოს ოკუპაციის ფაქტი დარჩა იმდენად დაუსჯელი რუსეთის ხელმძღვანელობისათვის, რომ ეს ნაწილობრივ გახდა კიდეც „წახალისება“ პუტინის ახალი უკანონო მოქმედებისათვის უკრაინასთან დაკავშირებით. მაგრამ, ამბობს პოლიტოლოგი, ასევე დაუსჯელი დარჩა რუსეთის აგრესია ყირიმში. საერთაშორისო გაერთიანებამ, ამტკიცებს მაცაბერიძე, რეალური ზომების მიღება რუსეთის წინააღმდეგ დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსკოვმა გააჩაღა სამხედრო მოქმედებები აღმოსავლეთ უკრაინაში. ექსპერტს მიაჩნია, რომ სანქციები, რომლებიც მიიღეს დასავლეთის ქვეყნებმა რუსეთის წინააღმდეგ, არასაკმარისია და არ წარმოადგენს გარანტიას იმისათვის, რომ კრემლი აღარ გააგრძელებს თავისი ახალი გეგმების განხორციელებას, რათა აღადგინოს თავისი გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

„რუსეთი — ესაა სახელმწიფო, რომელიც არღვევს აბსოლუტურად ყველა შეთანხმებას, რომლებსაც ხელს აწერს, რისი მაგალითებიცაა როგორც საქართველო, ისე უკრაინა. დასავლეთის სურვილის — არ გაიფუჭოს ურთიერთობა რუსეთთან პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამო — საბოლოო ჯამში ძნელად რომ აღმოჩნდეს პრაგმატული. მოსკოვი არ შეაჩერებს მინსკის შეთანხმებას. ასე რომ, ევროპაში სტაბილურობა კიდევ დიდხანს არ იქნება, უკიდურეს შემთხვევაში, მანამ, სანამ რუსეთს არ აიძულებენ, გადაიხადოს რეალური საფასური თავისი უკანონო მოქმედებებისთვის“, — მიაჩნია ქართველ ექსპერტს.

„ელვისებური შედეგების გარეშე“

უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხების შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელმა ნიკა ჩიტაძემ ჩვენთან ინტერვიუში შეგვახსენა, რომ, მიუხედავად საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა 2008 წელს, რუსეთს არანაირი ეკონომიკური სასჯელი არ მიუღია. ასევე, ამბობს ექსპერტი, რუსეთ-ნატოს საბჭო მაშინ შეაჩერეს სულ რაღაც 6 თვით, 2009 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა დაიწყეს „განტვირთვის პოლიტიკა“. დემოკრატიული სახელმწიფოების მცდელობებმა — მოაწესრიგონ ურთიერთობანი მოსკოვთან „ცივილიზებული გზით“, შედეგები არ გამოიღო, პირიქით, დარწმუნებულია ჩიტაძე, ეს კრემლმა აღიქვა, როგორც „დასავლეთის სისუსტე“. ექსპერტის აზრით, დასავლეთის ქვეყნებმა საბოლოოდ აღიარეს, რომ რუსეთი „არასაიმედო პარტნიორია“ მხოლოდ აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების შემდეგ. პოლიტოლოგი დასავლეთის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ მიიჩნევს „არასაკმარისად“, თუმცა დარწმუნებულია, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში ისინი შედეგს გამოიღებენ და აიძულებენ რუსეთს, „უარი თქვას თავის ექსპანსიურ პოლიტიკაზე“. ჩიტაძის სიტყვებით, აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს იმ გზების ძიება, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთის ფედერაციისაგან ენერგოდამოკიდებულების დაქვეითებას.

„სანქციებს ისეთი დიდი სახელმწიფოს წინააღმდეგ, როგორიცაა რუსეთი, არ შეუძლიათ გამოიღონ ელვისებური შედეგები, მაგრამ თუ დასავლეთი იქნება თანმიმდევრული თავის მოქმედებებში, საბოლოო ჯამში, მიღებული ზომები აუცილებლად გამოიღებენ ეფექტს“, — მიაჩნია ნიკა ჩიტაძეს.

ახალ დონეზე

ამ დროს აფხაზეთში 30 სექტემბერს აღნიშნავენ დამოუკიდებობის დღეს. აფხაზეთის ახლადარჩეულ პრეზიდენტს რაულ ხაჯიმბას მიულოცეს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, აგრეთვე მისმა თანაშემწემ ვლადისლავ სურკოვმა. ამავე დროს, სურკოვის გზავნილში ნათქვამია, რომ აფხაზეთ-რუსეთის ურთიერთობანი „უახლოეს მომავალში ახალ სიმაღლეზე გავა“, და რომ რუსეთის ფედერაცია „კვლავაც აღმოუჩენს დახმარებას აფხაზეთის რესპუბლიკას მის მყარ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფაში“.

ადრე სურკოვმა დაადასტურა, რომ წლის ბოლომდე მოეწერება ხელი შეთანხმებას მოკავშირეობისა და რუსეთისა და აფხაზეთის ინტეგრაციის შესახებ, რომელიც გაითვალისწინებს „თავდაცვისა და უშიშროების ახალი სივრცის ფორმირებას“. იგი ასევე დაგვპირდა, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან „მოძმე აფხაზეთის ფინანსური მხარდაჭერა გაიზრდება თითქმის ორჯერ“.

აღსანიშნავია, რომ, კრიზისების საერთაშორისო ჯგუფის ინფორმაციით, გარდა მრავალმილიონიანი ინვესტიციებისა სამხედრო სფეროში, დღეისათვის რუსეთი აფხაზეთის ბიუჯეტს უზრუნველყოფს 70 პროცენტით და უხდის პენსიებს მოსახლეობას.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

იუნისეფი: დასავლეთ აფრიკაში მინიმუმ 3700 ბავშვი ციებ-ცხელება ებოლის აფეთქების გამო ობლად დარჩა

გაეროს საბავშვო ფონდის ანგარიშში, რომელიც ორშაბათს გამოქვეყნდა, საუბარია აგრეთვე იმის შესახებ, რომ ბევრია დაობლებული ბავშვი გვინეაში, ლიბერიასა და სიერა-ლეონეში შეიძლება დარჩეს უფროსების მზრუნველობის გარეშე — გადარჩენილი ნათესავები არ ჩქარობენ, მიიღონ ისინი თავიანთ ოჯახებში, რათა არ დაავადდნენ სასიკვდილოდ სახიფათო ინფექციით. იუნისეფის ექსპერტები შიშობენ, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებისათვის ობოლი ბავშვების რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს.

იაპონიაში აღმოაჩინეს ვულკან ონტაკეს ამოფრქვევის შედეგად დაღუპულთა კიდევ 10 ცხედარი

მთლიანად დადასტურებულია 18 კაცის დაღუპვა. კიდევ 25 კაცი მედიკოსების ოფიციალური დასკვნის მიღებამდე, როგორც ეს იაპონიაშია მიღებული, დიაგნოსტირებულია, რომ მათ უჩერდებათ გული და ფილტვები. მთის ფერდობზე ჯერ კიდევ დარჩა 14 ცხედარი, რომელთა ევაკუირებაც ვერ მოხერხდა. ამრიგად ვულკანის ამოფრქვევის შედეგად დაიღუპა სულ 43 კაცი.

ხარკოვის ოლქში დაანგრიეს ლენინის კიდევ ერთი ძეგლი

შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგიონალურ სამმართველოში შემოვიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ძეგლი, რომელიც დადგმულია იზიუმის თბომავლების სარემონტო ქარხნის მახლობლად, დაზიანებულია. სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომლებმა, რომლებიც ჩავიდნენ მომხდარ ადგილზე, აღმოაჩინეს, რომ ძეგლის ქვედა ნაწილი ადგილზე დარჩა, ზედა კი — გვერდით აგდია.

დონეცკის მახლობლად მასობრივი დაკრძალვის ადგილებში დაახლოებით 400 ცხედარი აღმოაჩინეს, იტყობინება ეუთოს ექსპერტი

ადგილობრივმა ქალებმა ლატვიის სამართალდამცავ ეინარს გრაუდინშს უამბეს იმის შესახებ, რომ მათი სახლები გაძარცვულია, უკრაინელი ძალოვანები კი დგანან რიგში ფოსტასთან, რომ ნაძარცვი თავიანთ სახლებში გაგზავნონ. მათ აგრეთვე ისაუბრეს იმის შესახებ,რომ დაქირავებულები „აზოვისა“ და „დონბასის“ ბატალიონიდან ხშირად მასობრივად აუპატიურებენ სოფლის ყველა ქალს.

◎ გამოიცა

უკრაინის მოვლენების ახლებური შეფასება

(მეოთხე გვერდიდან)

„პუტინი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, ხოლო ახლა 2014 წელია და არა 1999“

დასავლეთმა ვერ გაითვალისწინა რუსეთის ხელისუფლებისა და ხალხის დიდი მოტივაცია, დადგნენ მტკიცედ უკრაინის და, განსაკუთრებით, ყირიმის საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ გაუგებარია, რის მიღწევას ლამობს დასავლეთი ეკონომიკური სანქციებით მაშინ, როდესაც რუსეთს კონტრსანქციების საშუალებით ევროპის სოფლის მეურნეობისათვის არანაკლები ზარალის მიყენება შეუძლია (და ეს უკვე დადასტურდა კიდეც). თუმცა გამოკვლევაში უფრო სიღრმისეულად დგას საკითხი, კერძოდ:

„რომც წარმოვიდგინოთ, რომ დასავლური სანქციები რამდენადმე გააძლიერებენ ინფლაციას და სხვა ნეგატიურ პროცესებს რუსეთის ეკონომიკაში, საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ დასავლეთში რუსების და მათი ხელმძღვანელობის რეაქცია? მაგალითად, გაძვირდა არაყი და ძეხვი, რა მოხდება ამის შემდეგ - რუსები შეიკრიბებიან წითელ მოედანზე და პუტინისგან მოითხოვენ ყირიმის დაბრუნებას უკრაინისთვის, ხოლო დონბასში მართლმადიდებლების მიტოვებას ბედის ანაბარა? ან, იქნებ თავად პუტინი გამოვა ამგვარი ინიციატივებით, წითელ მოედანზე პროტესტების გარეშეც? თუ პუტინი ადგილს დაუთმობს გორბაჩოვს და ის მორიგ „პერესტროიკას“ და სახელმწიფოს დაშლას ჩაატარებს? — რა თქმა უნდა, ეს სარკაზმია, არაფერი მსგავსი არ შეიძლება მოხდეს. რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაიხევს უკან, ხოლო პუტინის ქმედებები კიდევ უფრო გადამწყვეტი გახდება. მხოლოდ ერთია გასაკვირი: დასავლეთში რუსეთს თითქოს სწავლობენ, მათ ჰყავთ რუსეთის სპეციალისტები სხვადასხვა დარგში, ანალიტიკოსები, მკვლევარები, აგენტები — რომლებიც ინფორმაციას მოიპოვებენ, და სხვა სასარგებლო ადამიანები. ნუთუ ასე გაუგებარია რუსი ხალხის და მისი ლიდერის — ვლადიმირ პუტინის ხასიათი? ნუთუ დასავლეთში დაიჯერეს, რომ რუსეთი დაიხევს ამგვარი სამარცხვინო ზეწოლის ქვეშ?“

„დასკვნები საქართველოსთვის“

ნაშრომი სწორედ ასე სრულდება, საქართველოსათვის სწორი დასკვნების გაკეთებისაკენ მოწოდებით: ავტორის აზრით, უკრაინა გადაიქცა ნაციონალების ერთგვარ თავშესაფრად, სადაც მათ აძლევენ სტატუსსა და მუშაობის საშუალებას, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგოდ. აღნიშნულია უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლის იური ლუცენკოს საქციელიც:

„თბილისში, კრიმინალი მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე ოდიოზური იური ლუცენკო გამოგზავნეს, რომელიც ბედავდა სასამართლო პროცესში ჩარევას და მოსამართლის მიმართ მუქარას. გასაკვირი არაა, რომ ლუცენკო სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ ლანძღავდა და აგინებდა დენაციფიცირებულ საქართველოს, ქართულსავე მასმედიასთან ინტერვიუებში. ეს იმის მიუხედავად მოხდა, რომ ცოტა ხნით ადრე პრემიერმა ღარიბაშვილმა უკრაინას ურჩია, მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიაქციოს სააკაშვილის რჩევებს. ფაქტობრივად, კიევმა სილა გააწნა თბილისს. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ — დონბასის მცხოვრებნი იმავე ავანტიურისტებისგან იცავენ თავს, რომლებიც უფრო მეტად აფასებენ ნაციონალებთან მეგობრობას, ვიდრე საქართველოსთან“.

ავტორი მოწონებით ხვდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზომიერ პოლიტიკას უკრაინასთან მიმართებით, თუმცა რუსეთთან მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს, თუნდაც იმიტომ, რომ აუცილებელია, საქართველომაც ისარგებლოს დასავლეთსა და რუსეთს შორის არსებული სანქციებით და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი გააძლიეროს რუსულ ბაზარზე, რომლის გარეშეც ქართული ეკონომიკის განვითარება, სამწუხაროდ, წარმოუდგენელია.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს: „მთლიანობაში, მართლმადიდებლობის აღორძინებასა და მართლმადიდებელი ხალხების ერთიანობას ალტერნატივა არ გააჩნია, ხოლო დასავლეთის ექსპანსია ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ რუსეთის სიმტკიცის გამო მაინც დასასრულისკენ მიდის. ამიტომ ყველა ჩვენგანმა უნდა გაიგოს: უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არც სეპარატიზმია და არც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიების მითვისება მეორე სახელმწიფოს მიერ, არამედ ყოველივე ეს არის გლობალური ცივილიზაციური დაპირისპირების ნაწილი“.

> წინამდებარე რეცენზია არ გულისხმობს, რომ უკრაინის საკითხების ეს, ქართული მასმედიისათვის არადამახასიათებელი, უჩვეულო შეფასება სრულ მოწონებას იმსახურებს და გასაკრიტიკებელი არაფერია. პირიქით, ნაშრომი ფრიად ყურადსაღებია და მან აქტიური მსჯელობა უნდა გამოიწვიოს. ყოველ შემთხვევაში, ალტერნატიული აზრი და შეხედულება აუცილებელია ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

ასლან ქოგულაძე,
ქ. ბათუმი

◎ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი

ზაზა აზმაიფარაშვილი - საპატიო დირიჟორი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა, მისი სამხატვრო ხელმძღვანელის **დავით კინწურაშვილის** ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, საპატიო დირიჟორის სტატუსის მინიჭების პრეცედენტი დაამკვიდრა, რაც აპრობირებულია მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრსა და საშემსრულებლო კოლექტივში. საპატიო დირიჟორის სტატუსთან დაკავშირებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება თეატრს საშუალებას მისცემს, მთავარი დირიჟორის პარალელურად, ჰყავდეს გამორჩეული შემოქმედებითი პოტენციალისა და უდიდესი გამოცდილების მქონე მოწვეული დირიჟორი, რომლის დამსახურება თეატრის წინაშე სათანადოდ იქნება წარმოჩენილი.

ზაზა აზმაიფარაშვილი უდავოდ იმსახურებს საპატიო დირიჟორის სტატუსს, რამდენადაც შესანიშნავი შემოქმედებითი ბიოგრაფიის გარდა, მას ნამდვილად დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წინაშე, — ის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი იყო 2004-2009 წლებში. ამ პერიოდში მან იდირიჟორა ძალზე პრესტიჟული სპექტაკლები და გალა-კონცერტები მსოფლიოს ვარსკვლავების მონაწილეობით და ასევე უდიდესი წარმატებით წარუძღვა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

თეატრის დღევანდელი რეპერტუარის მნიშვნელოვან ნაწილს (ვერდის „აიდა“, „ატილა“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „ნაბუკო“, „დონ კარლოსი“, ლეონკავალოს „ჯამბაზები“, თაქთაქიშვილის „მინდია“ და ა.შ), სწორედ ზაზა აზმაიფარაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლებია.

საპატიო დირიჟორის შემოქმედებითი პოზიცია თეატრის წინსვლისა და შემოქმედებითი რენომეს ამაღლების კიდევ ერთი მძლავრი გარანტორი იქნება.

და აი, 8 ოქტომბერს 19 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის 163-ე სეზონი გალა-კონცერტით გაიხსნება, რომელსაც თეატრის საპატიო დირიჟორი **ზაზა აზმაიფარაშვილი** წარუძღვება.

გალა-კონცერტში მონაწილეობს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და ორკესტრი.

გალა-კონცერტზე შესრულდება არიები და სცენები ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის, ჯუზეპე ვერდის, ამილკარე პონკიელის, კამილ სენ-სანსის, ჟიულ მასნეს, ჯაკომო პუჩინის, ზაქარია ფალიაშვილის, რევაზ ლაღიძის ოპერებიდან.

ავთანდილ ბექაური

◎ კაკალ გულში

ნეკროლოგები ოჩაზეები

● Тяните жребий, господа! დავოსდით!

● **პრეზიდენტი დავოსში წასვლამდე თურქეთიდან პირდაპირ დასავლეთ საქართველოში რომ ჩასულიყო, შტაბის მუშაობაში მიეღო მონაწილეობა და სტიქიით დაზარალებული ხალხი მოენახულებინა, ურიგო არ იქნებოდა რა ვიცი, რა ვიცი. ვიცი? არ ვიცი!**

● **ვისაც ფერხუნდე ცუდი ქალი ჰგონია და მერკელი კარგი, ვისაც ილღაზი კაი ტიპი ჰგონია და პუტინი ცუდი თქვენით წამშალეთ!**

● **რაც ნარმანია წავიდა მინისტრობიდან, ეს შავლიაშვილი ორბიტაზე დაკარგულივით იქცევა...არსად არაა და ამ დროს, ყველგან არის!**

● **რომ არ ატყდეს ქაოსი,**
მე გამიშვით დაოსში.

● **რა ზომებს უნდა მიმართოს შტაბმა 6-ბალიანი შტორმის წინააღმდეგ, გთხოვთ, თეა სიჭინავას უთხრათ!**
1. ხელი ხელს ჩასჭიდონ და მედგრად დადგნენ სანაპიროზე.
2. სადმე უსაფრთხო ადგილას შედეგებს დაელოდონ.

● **უელსი, გაერო, დავოსი, ეს უკვე სამარცხვინოა,რა უბედურებაა ეს,ვინ წავა საქართველოს წარმომდგენად ეს კი არ არის პრობლემა,ქართული პოლიტიკური „ელიტა“ როგორ უფრო ასიამოვნებს ბატონ ბიძინას, ესაა მთავარი, ამით საერთოდ კარგავს ყოველგვარ პატივისცემას ეს კარგი კაცი, ასეთ უმსგავსობას რომ არ აღკვეთს.**

მე საქართველოს მოქალაქე ვარ და მრცხვენია, რომ ასეთი მლიქვნელებისაგან შედგება ქართული მთავრობა და პარლამენტი!!!

გიორგი მარგველაშვილის მიმართ კი უფრო მეტი სიმპათია და პატივისცემა მიჩნდება ამ ტურა ტაბაკების ფონზე!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

განცხადება

2014 წლის 26 ნოემბერს, 15 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1), გაიმართება ზედა ბჟუჟა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია მდ. ბჟუჟაზე და მის შენაკადებზე 9.8 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● **ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქუჩა №1;**

● **შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქუჩა №2**

● **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: (995 32 2 60 15 27.**

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ადმინისტრაცია

◎ ალიანჩალიანი

ფოთში რამდენიმე სახლი დაიტბორა

გადაულებელი წვიმის გამო ფოთის ქუჩები დაიტბორა. რამდენიმე უბანში წყალი სახლებში შევიდა. განსაკუთრებული პრობლემები შეექმნათ სარსანიას, სამეგრელოსა და დანელიას ქუჩის მოსახლეობას. მათ საყოფაცხოვრებო ნივთები და ტექნიკა დაუზიანდათ. პრობლემებია ელექტროენერგიის მიწოდების კუთხითაც, ამ დროისთვის გათიშულია 600-მდე აბონენტი, თუმცა აღდგენითი სამუშაოები დასასრულს უახლოვდება და ენერგომომარაგება მალე ქალაქს სრულად აღუდგება.

ფოთის მერის განცხადებით, ფოთში სულ 7 სატუმბი სადგური მუშაობს, რაც არასაკმარისია და დატბორვის მიზეზი სწორედ ეს არის. ასევე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხებიც. როგორც მერიაში აცხადებენ, ამ კუთხით მათ კონკრეტული გეგმები აქვთ.

მერიაში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ზარალის ოდენობას დაადგენს.

ინტერპრესი

◎ ძიუდო

გადახალისებული შემადგენლობით

ამას წინათ ბუქარესტში საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი გია გუგავა) ევროპის გუნდური ჩემპიონობა მოიპოვა, ინდივიდუალურში კი ჩვენმა ბიჭებმა ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. 22-26 ოქტომბერს ქართველი ძიუდოისტები მაიამიში ახალგაზრდა ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსინჯავენ ძალებს. გია გუგავა ოკეანის გაღმა გადახალისებულ შემადგენლობას წაიყვანს. ფლორიდაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: თორნიკე ნაგლიაშვილი (55), ივანე ჯავახიშვილი (60), ბექა ვიბლიანი და გელა კელიხაშვილი (66), კობა მჭედლიშვილი (73), უშანგი მარგიანი და ლევან გუგავა (ორივე – 81), ბექა ღვინიაშვილი (90), გურამ თუშიშვილი (100) და გუგა კიბორძალიძე (+100).

ლეძსო ციწცაძე

◎ ჭადრაკი

ჩემპიონს შვიდი ტური გამოავლენს

ოცწლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით განახლდა ქვეყნის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც შვიდი სამხარეო და თბილისის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. შეჯიბრების საპრიზო ფონდია 30.000 ლარი, საიდანაც ჩემპიონი 15.000-ს, ხოლო მეორე-მესამე პრიზიორები შესაბამისად 10.000 და 5.000 ლარს მიიღებენ. გამარჯვებულსა და პრიზიორებს ურეკის დასასვენებელ სახლ „კოლხიდაში“ წრიული სისტემით შვიდი ტური გამოავლენს. უკვე მიილია ოთხი ტური. ბოლო ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო „თბილისისა“ და „ქუთაისის“ დაპირისპირება. ქუთათურებმა ერთპიროვნულ ლიდერ დედაქალაქელებს პირველი მარცხი აგემეს: **„ქუთაისი“-„თბილისი“ 3:2** (შოთა აზალაძე (2498)-ბაადურ ჯობავა (2708) 0.5:0.5, ნიკოლოზ მანაგაძე (2458)-მიხეილ მჭედლიშვილი (2603) 0:1, ზურაბ ჯავახაძე (2423)-კონსტანტინე შანავა (2550) 1:0, მერი არაბიძე (2411)-სოფიო გვეტაძე (2361) 0.5:0.5, ნოე თუთისანი (2259)-ნინო ხომერიკი (2158) 1:0).

მე-4 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „რუსთავი“ (ქვემო ქართლი) – „გურია“ 4:1 (თამაზ გელაშვილი (2565) – აკაკი შალამბერიძე (2406) 0:1, ლევან ფანცულაია (2590) – ნიკოლოზ ჩხაიძე (2227) 1:0, ლუკა პაიჭაძე (2543) – მინდია ჩხიკვიშვილი (2050) 1:0, ნინო ხურციძე (2467) – ნატო იმნაძე (2082) 1:0, ირაკლი ბერაძე (2326) – მიშიკო ქურიძე (1647) 1:0). **„სამეგრელო“ – „ნონა“** (აჭარა) 1:4 (გოჩა ჩაჩუა (1931) – გაიოზ ნიგალიძე (2538) 0:1, გიორგი გამზარდია (2104) – დავით ჯოჯუა (2571) 0:1, ზვიად ფაცია (2119) – ნინო ბაციაშვილი (2426) 0.5:0.5, მადონა ბოკუჩავა (2003) – სალომე მელია (2464) 0.5:0.5, ნიკა ღვამბერია (2105) – ნიკოლოზ ქუმსიაშვილი (2179) 0:1). **„გორი“** (შიდა ქართლი) – **„კახეთი“** 1:4 (ბაჩანა მორჩიაშვილი (2327) – ალექსანდრ ფიერი (2579) 0:1, ალექსანდრე ხახუტაშვილი (1809) – მერაბ გაგუნაშვილი (2573) 0:1, ვასილ დოთიაშვილი (1800) – ბელა ხოტენაშვილი (2507) 1:0, ციალა ქასოშვილი (2161) – ლელა ჯავახიშვილი (2476) 0:1, ლუკა ლიჩელი (1925) – ირაკლი კელაპტრიშვილი (2168) 0:1.

ოთხი ტურის შემდეგ: „კახეთი“ – 7 (14,5), „ნონა“ – 7 (14), „თბილისი“ – 6 (16), „ქუთაისი“ – 6 (13), „რუსთავი“-5 (11.5), „გორი“ – 1 (4), „სამეგრელო“ – 0 (4), „გურია“ – 0 (2.5) ქულა.

გივი გაგუა

◎ ძალა ერთობაშია

„ლოკომოტივის“ და საქართველოს რკინიგზის თანამშრომლობა გრძელდება

ამ დღეებში „საქართველოს რკინიგზასა“ და სარაგბო კლუბ „ლოკომოტივი 2008“-ს შორის სასპონსორო ხელშეკრულებას მოეწერა

ხელი. იგი ძალაში გუშინ შევიდა. კომპანიამ კლუბის დაფინანსების ვალდებულება აიღო.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს სარაგბო კლუბ „ლოკომოტივი 2008“-ის დამფუძნებელმა თემურ ბენდიაშვილმა, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ და სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ბახტაძემ.

მამუკა ბახტაძე: „სს „საქართველოს რკინიგზა“ და სარაგბო კლუბი „ლოკომოტივი“ აგრძელებენ კარგ, ისტორიულ ტრადიციას – თანამშრომლობას. გასული წელი ნაყოფიერი იყო, გუნდი საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა. წელს უფრო ამბიციური გეგმები გვაქვს და შევეცდებით, რომ ჩემპიონები გავხდეთ“.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის **გიორგი ნიჟარაძის** განცხადებით, შარშან სს „საქართველოს რკინიგზამ“ შესანიშნავი პრეცედენტი შექმნა და ხელი მოეწერა სპონსორობის ხელშეკრულებას, რამაც საფუძველი ჩაუყარა ახალი გუნდის მშენებლობას. „ვთვლი, რომ „ლოკომოტივმა“ ამ თანამშრომლობის შედეგად შარშანდელი მატჩების დროს ძალიან კარგად ითამაშა. ვფიქრობ, წლევანდელ სეზონში გუნდი კიდევ უფრო უკეთეს შედეგს აჩვენებს და ჩემპიონიც გახდება“, – აღნიშნა ნიჟარაძემ.

მანუჩარ გიორგაძე

ფიდეს რეიტინგით

სექტემბრის შედეგების გათვალისწინებით ფიდემ მოჭადრაკე ქალვაჟთა განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. მანდილოსანთა ასეულის პირველ საფეხურზე 2675 პუნქტით ისევ უნგრელი იუდით პოლგარი იმყოფება. მადიარმა დიდოსტატმა ამას წინათ განაცხადა, რომ აქტიურ ჭადრაკს თავს ანებებს. 2673 პუნქტით მეორე ადგილზეა ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი. საუკეთესო ათეულში შემდეგ მოდიან: ძიუ ვენძიუნი (2582), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2581), ნანა ძაგნიძე (2570), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2548), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2542), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2530), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი, 2528)... ქართველთაგან პირველ

ასეულში არიან: 13. ბელა ხოტენაშვილი (2523), 23. ლელა ჯავახიშვილი (2481), 29. სალომე მელია (2472), 35. ნინო ხურციძე (2460), 47. ნინო ბაციაშვილი (2434), 59. მერი არაბიძე (2409), 81. სოფიკო გურამიშვილი (2381), 93. მაია ლომინეიშვილი (2364).

ქართველ დიდოსტატ ვაჟთაგან მხოლოდ ბაადურ ჯობავა ყოჩაღობს – 2717 პუნქტით მას 32-ე საფეხური უკავია. ასეულის სათავეში კი კვლავ ნორვეგიელი მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (2863) დგას. ბოლო დროს საგრძნობლად დაწინაურდა იტალიელი ფაბიანო კარუანა, რომელიც 2844 პუნქტით ნორვეგიელს მიუახლოვდა. პირველ ათეულში, ასევე, არიან: ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2800), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2797), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2793), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2785), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2768), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2767), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2764), შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი, 2764).

ლაშა დიდია

◎ უეფას თასი

„იბერია სთარი“ „რეკორდით“ იწყებს

ფუტსალში საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბი „იბერია სთარი“ ლატვიის დედაქალაქ რიგაში გაემგზავრა, სადაც უეფას თასის გათამაშების ძირითად ეტაპზე ითამაშებს.

მე-2 ჯგუფში თბილისელთა მეტოქეები რიგის „ნიკარსი“, ბულგარეთის ვარნას „გრან პრო“ და პოლონეთის ბიელსკო-ბიალას „რეკორდი“ იქნებიან.

დღეს „იბერია სთარი“ „რეკორდს“ შეხვდება. თამაში თბილისის დროით 18:30 საათზე დაიწყება. ხვალ ქართველები „ვარნას“ დაუპირისპირდებიან და მატჩი სტარტს იმავე დროს აიღებს. 5 ოქტომბერს თბილისელები "ნიკარსს" ეთამაშებიან და შეხვედრა 17 საათზე შედგება.

ძირითადი ეტაპის 6 ჯგუფიდან პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები ელიტ-რაუნდში იასპარეზებენ, სადაც მათ რეიტინგის ლიდერები ესპანეთის „ბარსელონა“, ყაზახეთის „ქაირათი“ და პორტუგალიის „სპორტინგი“ დაემატებიან.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

დერეკ როუზი: მჯერა, „ჩიკაგო ბულზს“ შეუძლია NBA-ს ჩემპიონი გახდეს

„ჩიკაგო ბულზის“ 25 წლის გამთამაშებლის დერეკ როუზის განცხადებით, მის კლუბს შეუძლია ჩემპიონი გახდეს. აღნიშნულ ინფორმაციას პორტალი sportsmole.co.uk **ავრცელებს.**

„მჯერა, რომ ჩემს გუნდს შეუძლია ჩემპიონატის მოგება. ეს შეიძლება არ მოხდეს ამ წელს, ან მომავალ წელს, მაგრამ აუცილებლად მოხდება. ვიცი, რომ ჩემპიონატს მალე მოვიგებ და ამაზე არ ვღელავ“ – განაცხადა დერეკ როუზმა.

დერეკმა ტრავმების გამო ბოლო ორ სეზონში მხოლოდ 10 მატჩი ჩაატარა. როუზი სარბიელს წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე დაუბრუნდა, სადაც მისი მონაგარი საშუალოდ ერთ მატჩში 5 ქულა და 3 პასი გახლდათ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

მხოლოდ შედეგები

გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის II ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს.

„ე“ ჯგუფი. ცსკა – „ბაიერნი“ 0:1, „სიტი“ – „რომა“ 1:1.

„ვ“ ჯგუფი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „ბარსელონა“ 3:2, „აპოელი“ – „აიაქსი“ 1:1.

„ზ“ ჯგუფი. „სპორტინგი“ – „ჩელსი“ 0:1, „შალკე“ – „მარიბორი“ 1:1.

„თ“ ჯგუფი. ბატე – „ბილბაო“ 2:1, „შახტარი“ – „პორტუ“ 2:2.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ტოტის ტროფოებით გათანგული

იტალიური „რომა“ განაგრძობს წარმატებით თამაშს. ამჯერად ეს გუნდი მშვენივრად ეპაექრა ინგლისურ „მანჩესტერ სიტის“ და ამ წარმატებებმა დედაქალაქური კლუბის ქომაგთა დიდი სიხარული გამოიწვია. განსაკუთრებით გახარებულია „რომას“ თილისმად სახელდებული იტალიელი მოდელი ლაურა კრემაჩი.

ლაურა ის ქალია, რომელიც ნიფხავ-პერანგის გახდას არასოდეს იზარებს, თუკი ეს ყველაფერი მის საყვარელ კლუბს დასჭირდა. ჯერ კიდევ „სიტი“ – „რომას“ მატჩამდე იძახდა, თუ იტალიელები არ წააგებენ, ჩემს მრავლისმნახველ მკერდზე საყვარელი კლუბის ემბლემას ამოვისვირინგებო და ვითომ რატომ არ გააკეთებს ამას?

ლაურა კრემაჩის უსაზღვრო სიხარული იმანაც გამოიწვია, რომ ინგლისში გოლი მისმა კერპმა ფრანჩესკო ტოტიმ გაიტანა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი მეგოლე გახდა. ამას წინათ ლაურამ ფოტო გამოაქვეყნა, სადაც მუცელზე წარწერა აქვს: "ტოტი გელოდებიო" და აფსუსი არაა ამ ქალის ასე მოლოდინის ამარა მიტოვება?!..

როსტომ რაჭველიშვილი

◎ უკვდავება

ნათელცხებული ექიმი და მოღვაწე

აფხაზეთის ყოფილი მთავარი ფსიქიატრი, აფხაზეთის დამსახურებული ექიმი, აფხაზეთის ფსიქიატრთა, ნერვოპათოლოგთა და ნარკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, აფხაზეთის ფსიქონერვოლოგიური საავადმყოფოს ნევროზების განყოფილების გამგე, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის მფლობელი ბიძინა მგალობლიშვილი 1919 წლის 20 სექტემბერს დაიბადა აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ მარანში, ამიტომაც გვეამაყება აბაშელებს მისი სახელი.

ბატონი ბიძინა უყვარდათ და აფასებდნენ, არა მარტო აფხაზეთში, მთელ საქართველოშიც პატივს სცემდნენ, იგი ავტორიტეტი იყო ყველასთვის. ბატონმა ბიძინამ შვიდი საუკეთესო შვილი აღზარდა, შვიდივე ექიმია. იმ ავბედით დღეებში, როცა ქვეყანას უჭირდა, პატრიოტმა ადამიანმა ალმოდებული სოხუმი არ დატოვა, მისი დახმარებით ბევრმა გამოაღწია სამშვიდობოს, თავად ეს გულანთებული ქართველი კი სოხუმის დაცემის დღეს, 27 სექტემბერს საკუთარ სახლთან ვერაგულად დახვრიტეს გადამთიელმა ბოევიკებმა. მისმა ვაჟიშვილებმა გადმოასვენეს მამის ნეშტი და ის ახლა თავის სოფელში, მარანში განისვენებს. აქვე უფროსმა ვაჟმა შალვა მგალობლიშვილმა მამის სახელზე ჯვართამაღლების ეკლესია ააგო.



ბიძინა მგალობლიშვილის 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო არასამთავრობო ორგანიზაციის „ყველა ერთად“ ორგანიზებით, აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოსა და კულტურის ცენტრის თანამონაწილეობით, ამ დღეებში აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დარბაზში გაიმართა. საღამოს ესწრებოდნენ ბიძინა მგალობლიშვილის ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, სტუმრები სხვადასხვა რაიონებიდან, აბაშის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები.

დამსახურებული ფსიქიატრის შესახებ ისაუბრეს ბორჯომ-ბაკურიანის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე სერაფიმემ, აფხაზეთის კულტურის მინისტრმა, მსახიობმა დიმა ჯაიანმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ვახტანგ ყოლბაიამ, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ ჭითანავამ, მოწვეულმა სტუმარმა, აბაშის ყოფილმა თავკაცმა გურამ გუნავამ. საღამოს უძღვებოდნენ დინარი გვაზავა და გოჩა ხურცილავა.

შთამბეჭდავი გახლდათ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პაატა ქურდოვანიძის გამოსვლა, რომელმაც თვალნათელი გახადა ბატონი ბიძინას ცხოვრება, მისი სულის სიღრმე.

„ახალს ვერაფერს ვიტყვი, თუ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ საყოველთაო ჭეშმარიტებას — ყოველი თაობის რჩეული პიროვნებანი, ქვეყნისა და ხალხისათვის თავგადადებული ზნემაღალი მოღვაწენი, ერის ისტორიული ცხოვრების ერთობლიობის ნათელი ორიენტირნი რომ არიან! მათი ქმედების ყოველი ჩანაფიქრი, არა მხოლოდ თანამედროვეობაში, არამედ წინაპართა ნაღვაწისა და ქვეყნის ცხოვრების ისტორიული გამოცდილებიდან იღებს სათავეს!

შემოდგომის ამ წვიმიან საღამოს, ჩვენი თავშეყრის მწუხარე იდუმალებით გარემოსილი მიზეზი, ქართველი ერის კიდევ ერთი ღირსეული შვილის ცხოვრებისეული გზის გახსენებისა და ნათელი სულის მოგონების სურვილია.

ბიძინა მგალობლიშვილმა ცხოვრების დიდი ნაწილი აფხაზეთში გალია, აფხაზ-ქართველთა დაყოფის და დათითოკაცების ტრაგედიის ჟამს. მოწამეობრივად აღესრულა მისი სიცოცხლე 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს.

სოხუმის დაცემამდე რამდენიმე თვით ადრე, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისას, თხოვნაზე, გარიდებოდა სოხუმში იმ დროს არსებულ რთულ ვითარებას, მან მიპასუხა: — მე სოხუმიდან არ წავალ. ჩემი სამშობლო აქ არის. ხელს არ მახლებენ, ექიმი ვარ და კარგის მეტი ხალხისთვის არაფერი გამიკეთებიაო! — ასე იხსენებს საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი ნანეიშვილი ბატონ ბიძინას. ჭეშმარიტად, რომ ასეც იყო, ბიძინა მგალობლიშვილი ვანდალებმა საკუთარი სახლის პარმაღთან დახვრიტეს, დაუნდობლად გაიმეტეს 74 წლის ადამიანი, პიროვნება, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება საკუთარი ქალაქის სიყვარულს შეალია. იგი ადამიანის სულების მკურნალი გახლდათ. ექიმი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ყველას, განურჩევლად ეროვნებისა — აფხაზს, ქართველს, რუსს, უკრაინელს...“

საღამოზე სიტყვით გამოვიდა ბიძინა მგალობლიშვილის შვილიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა ერთად“ პრეზიდენტი ლევან მგალობლიშვილი. მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს, ღონისძიების მონაწილეებს, ჭყონდიდელ მიტროპოლიტს მეუფე პეტრეს, ბორჯომ-ბაკურიანის მთავარეპისკოპოსს მეუფე სერაფიმეს, აბაშის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას დამსახურებული ექიმის ესოდენ დაფასებისათვის: **„ეს დღე მხოლოდ ბაბუას არ ეკუთვნის, ეს დღე ყველა აფხაზეთში დაღუპულს ეძღვნება, იმ ძირძველ აბაშელებს, რომლებმაც მშობლიური რაიონის სახელი შორს გაიტანეს, მადლობას ვუხდი აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ პაატა ქურდოვანიძეს, მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ მამუკა კვიტაშვილს, კულტურის ცენტრის დირექტორს, ბატონ რევაზ მიქაძეს, კულტურის სახლთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებს. რომ არა მათი ძალისხმევა, ეს საღამო არ შედგებოდა. ეს დღე სტიმულია ჩემთვის, რათა მრავალი ლამაზი დღე ვაჩუქო აბაშელებს. როგორც იცით, მე და ჩემმა მეგობრებმა ჩამოვაყალიბეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ყველა ერთად“, დიახ, ჩემო ძვირფასებო, გავერთიანდეთ, ვთესოთ სიყვარული და აუცილებლად მოვიმკით სიყვარულს. სიმბოლურია, რომ დღეს, მარნის ჯვართამაღლების სახელობის ტაძარში მოინათლა ჩემი შვილი, პატარა ბიძინა მგალობლიშვილი, დიდი ბიძინას მე-17-ე შვილთაშვილი, ამდენად, მწუხარების ცრემლთან ერთად, სიხარულის ცრემლიცაა დღევანდელი დღის თანამდევი. კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას ყველას ბიძინა მგალობლიშვილის სახელისადმი სათანადო პატივის მიგებისათვის.“**

— განსაკუთრებით ამაყი და გახარებული ვარ დღეს, ულამაზესი საღამო იყო, მამას ძალიან უყვარდა სოფელი მარანი, უყვარდა აბაშა, აქ ჩამოსვლა მთელი ოჯახისათვის ნამდვილი ზეიმი იყო. მადლობას ვუხდი აბაშის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ყველას, ვინც ასე დააფასა მამის ღვაწლი, მისი თავგანწირვა. — გვითხრა ბიძინა მგალობლიშვილის შვილმა, ქალბატონმა მაია მგალობლიშვილმა.

ღონისძიებაზე გაჟღერდა 14 საპატიო აბაშელის ერთობლივი განცხადება ბიძინა მგალობლიშვილისათვის (გარდაცვალების შემდეგ) აბაშის საპატიო მოქალაქისა და სოფელ მარნის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის კაბინეტისათვის დამსახურებული ექიმის სახელის მინიჭების შესახებ. ასევე, საკრებულოს გადაწყვეტილებით, სოფელ მარნის ერთ-ერთ ქუჩას ბიძინა მგალობლიშვილის სახელი მიენიჭა, ხოლო ცნობილი ფსიქიატრის სახლთან მემორიალური დაფა გაიხსნა.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მხარდაჭერითა და აბაშის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის განვითარების ცენტრის ორგანიზებით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ყველა ერთად“ აბაშის მუნიციპალიტეტში ბიძინა მგალობლიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საფეხბურთო ტურნირი გამართა. ტურნირის მიზანი რაიონებსა და ქალაქებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მინი-ფეხბურთის პოპულარიზაცია გახლდათ. ტურნირი აბაშის ცენტრალურ სტადიონზე 12-სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით, ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა. ტურნირში მონაწილეობდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის გუნდები.

ფინალში ერთმანეთს სოფელ მარნისა და ნორიოს გუნდები დაუპირისპირდნენ. გამარჯვება მარნის გუნდმა მოიპოვა და მათ მგალობლიშვილის სახელობის გარდამავალი თასი გადაეცათ. მე-2 ადგილზე გასული გუნდი და საუკეთესო მოთამაშეები დაჯილდოვდნენ სპეციალური პრიზებითა და დიპლომებით.

გამარჯვების სიხარული

— სიმბოლურია ის, რომ ტურნირის პირველი გამარჯვებული მარნის გუნდი გახდა, მაგრამ მინდა, ვთქვა, რომ ბაბუაჩემის ხსოვნისთვის ყველაზე დიდი გამარჯვება ფესტივალში უამრავი ახალგაზრდის მონაწილეობაა. ჩემთვის მნიშვნელოვანია ფესტივალმა ტრადიციული სახე მიიღოს და ყოველი წლის 20 სექტემბერს ბიძინა მგალობლიშვილის სახელობის გარდამავალი თასი ღირსეულ გუნდს გადაეცეს. ასევე მინდა, დაგპირდეთ, რომ ორგანიზაცია „ყველა ერთად“ აქტიურად დაეხმარება ტურნირში მონაწილეობის მსურველ ყველა გუნდს, რათა მათ სრულად მოახდინონ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების წარმოჩენა, —განაცხადა ბიძინა მგალობლიშვილის შვილიშვილმა ლევან მგალობლიშვილმა.

ვერიკო ჯიბლაძე
აბაშა-თბილისი

Ростовский государственный технический университет выражает глубокое соболезнование Католикосу-Патриарху Всея Грузии Его Святейшеству Илье II в связи с кончиной брата, монаха

ГЕОРГИЯ (ВИКТОРА ШИОЛАШВИЛИ).

От имени коллектива университета ректор, иностранный член академии наук Грузии, профессор
БЕССАРИОН МЕСХИ.

როსტოვის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით უცხადებს თანაგრძნობას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II ძმის

ბერი გიორგის (ვიქტორ შიოლაშვილი)

გარდაცვალების გამო.

კოლექტივის სახელით უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, პროფესორი ბესარიონ მესხი

რეზო ამაშუკელი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს ძმის

ბერი გიორგის (ვიქტორ შიოლაშვილი)

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ძმის

ბერი გიორგის (ვიქტორ შიოლაშვილი)

გარდაცვალების გამო.

მერაბ ბერძენიშვილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს ხორციელი ძმის

ბერი გიორგის (შიოლაშვილი)

გარდაცვალების გამო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს: მიიღეთ გულწრფელი თანაგრძნობა

ძმის

გარდაცვალების გამო.

მარიამ ლორთქიფანიძე ოჯახით.

მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდი „ივერიისა“ სამძიმარს უცხადებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ეს ძმის

ბერი გიორგის (ვიქტორ შიოლაშვილი)

გარდაცვალების გამო.

პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ სამძიმარს უცხადებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ეს ძმის

ბერი გიორგის (ვიქტორ შიოლაშვილი)

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

„გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე!“

შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის თანამშრომლებმა „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“ აქციის ფარგლებში, ჰემატოლოგიისა და ტრასფუზიოლოგიის ინსტიტუტის „სისხლის ბანკს“ სისხლი ჩააბარეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, შემოსავლების სამსახური სისხლის დონაციის საქველმოქმედო აქციებში მუდმივად მონაწილეობს. გასულ კვირას აქციას სამსახურის აპარატის, მომსახურებისა და საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტების თანამშრომლები შეუერთდნენ.

ბრუცელოზი სოფელ ვაკიჯვარში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკიჯვარში ბრუცელოზით 13 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაავადდა. ამის შესახებ ინფორმაციას სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონალური სამმართველოს უფროსი კახა თავბერიძე ადასტურებს.

„რამდენიმე ოჯახში გამოვლინდა, რომ ბრუცელოზით 13 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაავადდა. მოსახლეობას უკვე შევხვდით და მოხდა შესაბამისი რეაგირება ჩვენი მხრიდან. ყველა მათგანს ასევე გაეწია კონსულტაცია“, — განაცხადა კახა თავბერიძემ.

მისივე თქმით, სოფელ ვაკიჯვარში კარანტინი არ გამოცხადებულა.

◎ ჩვენი კარაბადინი

ზოგჯერ ჩვენ მივდევთ ქცევის სტერეოტიპებს და არ ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ აისახება ეს ჩვენს ჯანმრთელობაზე. ზოგიერთი ასეთი ჩვევა მავნეა ან არის უსარგებლო. მათ რომ დავემშვიდობოთ, არაა ძნელი, თუ მათ უფრო სასარგებლო წეს-ჩვევებით შევცვლით.

ტელევიზორი ძილის წინ

როდესაც, ჩვეულებისამებრ, ვუყურებთ სერიებს სერიებზე სამუშაო დღის შემდეგ, ჩვენ ხელს ვუშლით ჩვენს თვალებს, რომ მოდუნდნენ, ნერვები კი – მოვიდნენ წესრიგში. შემჩნეულია, რომ ტელევიზორის ყურება დაძინებამდე ორი საათით ადრე ზრდის უძილობის ალბათობას – თუნდაც ფილმი სასიამოვნო იყოს.

ალტერნატივა

ძილის წინ მოისმინეთ კარგი მუსიკა ან აუდიოწიგნი.

საოჯახო საქმეები უქმე დღეებში

როდესაც კვირის ბოლოსთვის მოვიტოვებთ ხოლმე სარეცხის რეცხვას, სახლის დალაგება-დასუფთავებას, პროდუქტების ყიდვას და სხვა საოჯახო „სასიხარულო“ რამეებს, ჩვენ აღარ ვიტოვებთ დროს დასვენებისთვის.

ალტერნატივა

შეეცადეთ, საოჯახო ფაციფუცისთვის დაიტოვოთ მხოლოდ შაბათი, კვირაობით კი აკეთეთ რაიმე უფრო საინტერესო რამ – წადით პიკნიკზე, სპორტულ დარბაზებში ან მუზეუმში. ნერვულ სისტემას საკუთარი რესურსების აღდგენისათვის გადართვა სჭირდება.

ჭიქა კეფირი ძილის წინ

ბევრს მიაჩნია, რომ ძილის წინ შეიძლება მიიღო კეფირი, მაწონი ან იოგურტი, რომ თავიდან ავიცილოთ კუჭ-ნაწლავის პრობლემები. ეს მართლაც სასარგებლო რჩევაა, ამ პროდუქტებში ხომ არის სასარგებლო რძის მჟავების ბაქტერიები. მაგრამ ფინელი მეცნიერების ამასწინანდელმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ არსებობს პროფილაქტიკის უფრო ეფექტიანი ვარიანტი: რძისმჟავიანი პროდუქტები უნდა მივიღოთ დილით, საუზმემდე ნახევარი საათით ადრე. იმათ, ვისაც ერჩია, მიეღო იოგურტი დილით, ჰქონდათ კუჭ-ნაწლავის მიკროფლორის გაცილებით ხელსაყრელი მაჩვენებლები. ეს, ეტყობა, აიხსნება იმით, რომ საღამოობით კუჭში გროვდება მეტი კუჭის წვენი, ვიდრე დილით. მისი მაღალი მჟავიანობა კი მავნებელია ფაქიზი ბაქტერიებისათვის.

ალტერნატივა

უმჯობესია კეფირი, მაწონი ან იოგურტი მიირთვათ უზმოზე. სხვათა შორის, დილით ამის გახსენება უფრო იოლია.

გამოძინება მთელი კვირისთვის

როდესაც საკუთარ თავს აძლევთ ნებას, უქმე დღეებში დიდხანს არ დაწვეთ დასაძინებლად, დილით კი უფრო მეტ ხანს იწვეთ საწოლში, თქვენ არღვევთ ძილის რიტმს. მისი ციკლურობა კი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ბიორიტმებთან დამოკიდებულებაში გამომუშავდება მელატონინის ჰორმონი, რომელიც აუცილებელია წონის შენარჩუნებისათვის, კიბოს პროფილაქტიკისა და ახალგაზრდობის დიდხანს შენარჩუნებისათვის.

6 ზედმეტი ჩვევა

გავთავისუფლდეთ მათგან, რათა გავიუმჯობესოთ განწყობილება

ალტერნატივა

დავწვეთ და ავდგეთ ერთსა და იმავე დროს, მიუხედავად იმისა, სამუშაო დღეა თუ უქმე.

საუზმე არ მინდა, საღამოს ავინაზღაურებ

როგორც წესი, აქტიურად მომუშავე ადამიანები გარბიან სამსახურში ისე, რომ არ საუზმობენ, მხოლოდ დალევენ ჭიქა ყავას ბუტერბროდთან ერთად. სამაგიეროდ, საღამოს უარს არ ეუბნებიან თავიანთ გასტრონომიულ მიდრეკილებებს. ეს საფუძველშივე არასწორია.

ალტერნატივა

კარგი ცხელი საუზმე – ეს არა მხოლოდ შეკრულობისა და კუჭ-ნაწლავის სხვა პრობლემების პიროფილაქტიკაა, არამედ საკვებიც ტვინისთვის. უამსაუზმოდ თქვენ მთელი დღე თავს იგრძნობთ მოდუნებულად და დაბნეულად. აი, საღამოს კი უმჯობესია არ ჭამოთ, თუ თქვენი წონისთვის ზრუნავთ.

ჩაი ტკბილეულთან ერთად

როდესაც უხვად ყრით შაქარს ჩაიში, თქვენ არა მხოლოდ აუხეშებთ კარგი ჩაის მიმზიდველ სურნელს და გემოვნებას, არამედ აიძულებთ ორგანიზმს, აითვისოთ ზედმეტი კალორიები, კუჭქვეშა ჯირკვალს კი – განიცადოს სტრესი. თუ ამას ცხიმსაც დავუმატებთ ნაზუქეულისა და ნამცხვრის სახით, ღვიძლის დატვირთვა იზრდება.

ალტერნატივა

გაახარეთ და ასიამოვნეთ თქვენ თავს უფრო სასარგებლო ხერხით: დალიეთ ჩაი თაფლით ან ჩირით.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

საშინელებათა ფილმის რეჟისორი უეჭველად გენიოსი იყო: ჩვენების დაწყებიდან ათი წუთის შემდეგ დარბაზში უკვე სუნთქვა შეუძლებელი გახლდათ.

* * *

გამოცდაზე პროფესორი, რომელიც დაიღალა იმის მცდელობით, რომ როგორმე სამიანზე მაინც აპასუხებინოს სტუდენტს, გამოსაცდელს ეკითხება:

– კარგი, ის მაინც მითხარით, ვინ გიკითხავდათ ლექციებს?

დუმილი.

– მიმანიშნებელი შეკითხვა: თქვენ თუ მე?

– **ეძიმო, ხელი მტკივა.**

– **ასე გტკივა?**

– **მტკივა!**

– **ასე თუ გტკივა?**

– **ასე არ მტკივა!**

– **ჰოდა, ასე იარე! შემდეგი!**

* * *

გალეწილი მთვრალი ახალი რუსი გამოდის რესტორნიდან და ტაქსისტებს უყვირის:

– **მოდით აქ, დოლარების შეკვრას ვაძლევ მას, ვინც სახლში წამიყვანს.**

ყველამ მოირბინა და ეკითხებიან, სად წაგიყვანოთო.

– **თქვენ შობელძაღლებო, რომ მახსოვდეს, თუ სად უნდა მიმიყვანოთ, ამდენ ფულს შემოგთავაზებდით?**

ოჯახში მუდამ რაღაც საქმეა

საოჯახო საქმე იმდენად მრავალფეროვანია და იმდენი წვრილმანის მომცველი, ყველაფერი, შესაძლოა, საუკეთესო დიასახლისმაც არ იცოდეს. ამდენად, ზოგიერთი ასეთი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო წვრილმანის გათვალისწინება, ვფიქრობთ, ოჯახში ბევრ ქალბატონს წაადგება.

პური რბილად შეინახება, თუ მას პოლიეთილენის დაჩვრეტილ პარკში შეინახავთ;

შოკოლადის ლაქის ამოსაყვანად საუკეთესო ხერხია მარილის ძლიერ გაჯერებული წყლით მისი ამორეცხვა;

ტყავგადაკრული ავეჯის გაწმენდა ძმრისა და არყის ნაზავში დასველებული ტილოთი სჯობს. თავდაპირველად დალაქავებული ადგილები უნდა მოიწმინდოს, შემდეგ კი მთლიანად დგამი;

ყინვაში გაფენილი თეთრეული რომ არ გაიყინოს, გასავლებ წყალს ცოტაოდენი მარილი უნდა შეურიოთ;

რბილი ავეჯიდან ცხიმოვანი ლაქები სუფთა ბენზინში დასველებული ტილოს გადასმით ამოდის;

თუ ონკანიდან წყალი წვეთავს და ნიჟარაში ყვითელი ლაქა გაჩნდა, მის ამოყვანას მარილიანი ცხელი ძმრით შეძლებთ;

თუ ფანჯრის ჩარჩოების შეღებვის დროს შუშას ძმარს წაუსვამთ, მასზე საღებავი არ გადავა;

ვიდრე თევზს შეწვავდეთ, კუდი და ფარფლები მაკრატლით მოაჭერით;

თუ გინდათ, რომ ცხობისას ბლინები ტაფას არ მიეკრას, მშრალ ტაფაზე ჯერ მარილი დაყარეთ, კარგად გააცხელეთ, შემდეგ სუფთა ქაღალდით ან ნაჭრით გაწმინდეთ;

თუ გსურთ, რომ საქონლის ხორცი მალე მოიხარშოს და უფრო გემრიელიც იყოს, წყალში ერთი ჩაის კოვზი ძმარი ჩაუმატეთ;

რძე უფრო მალე რომ ადუღდეს, მასში ცოტაოდენი შაქარი ჩაყარეთ;

თუ საწერი მაგიდის ან სხვა ავეჯის უჯრა ადვილად არ იწევა, შეხების ადგილზე საპონი ან პარაფინი წაუსვით.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24